

სამეგრელო

№3 (50) 1.03.2016 - 1.04.2016

ფასი 2 ლარი

ყოველთვიური გამოცემა



10



ნონა მახინეაშვილი
ჭადრაკის დამოყალიბებელი

4



კავას თორკელავა
დავნილობიდან დადაქვლავებდა

31



ვიონა ცაწავა
უნე ლეაზი სპრ. როგორც ვიონა

8



ჯურა მაცვა-უბილავა
სსოპრების ანაკაქლი

30



ზვიდონ თორდუა
ნოვაციების მწიგნობარი მელიტიანოვი

38



მოქვის უნიკალური ოთხთავის მანუსკრიპტი

7

როგორ შეუსრულა დანაპირები ფოთის მერიამ ჟურნალ „სამეგრელოს“? ტყუილი თუ იბნო რიკიბა?!



ISSN 1987-8524



9 771987852005



რასრისებრს

სწესნძყნი ზყვრირაში





ს ა რ ჩ ე ვ ი



	ლამაზი ქალის პატრონსა..... 2
	დევნილობიდან დედაქალაქამდე 4
	ნინო რეხვიაშვილი რა ხდება ფოთის მერიაში..... 7
	ცხოვრების ანარეკლი ეთერ მატუა-უბილავას შემოქმედებაში 8
	ნათია უტიაშვილი — ვინ არიან კანადელი ქართველი ტყუპი დები, რომლებსაც ჰოლივუდის ფილმებში იღებენ და რას ასწავლიან ისინი ალ პაჩინოს, მეგ რაიანსა და სხვა ცნობილ მსახიობებს 13
	არქანჯელო ლამპერტი — ადათ-წესები სამეგრელოში..... 16
	თამაზ ჩიქვანია — „ხალხის სიყვარულს ვერანაირი ტიტული ვერ გადაწონის" 18 ედუარდ გერსამიას ცხოვრების ეპოპეა..... 20

	ნელი ჩხარტიშვილი — დალოცვის მარტივი ხელოვნება..... 23
	გივი სიხარულიძე მეყვავილე ავთო 24 სიცოცხლის მოწმობა 25
	ჩემი სულის გაზაფხული 27
	შენ ლამაზი ხარ, როგორც მიმობა, მიმობა ცანავა..... 28 შენ, შენ დაგანათლოს დედა! 28 ნიფლიჩიტავ ლამაზო! 29 ტკივილის ტვირთი..... 29 ყვიყვალი ლალუ..... 29
	ფრიდონ თოდუა — ნოვაციების ავტორი მედიცინაში 30 ზუგდიდი სრულიად
	საქართველოს ამცნობს..... 34 მარტვილი სრულიად
	საქართველოს ამცნობს..... 36 ოქროპირ ჯიქური მოქვის უნიკალური ოთხთავის გადასარჩენად..... 38

მთავარი რედაქტორი —
ნინო რეხვიაშვილი
ტელ: 599 74 68 10
დამფუძნებელი —
გოჩა გუტაშვილი
ტელ: 599 53 58 94
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დალი ჯვარავიშვილი
ტექსტი აანყო
თამარ გოგინაძე

მვირფასო მკითხველო!
გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული
მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს
ავტორი. რაც შეეხება სარეკლამო ტექსტს,
მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის
შემკვეთს ეკისრება.

მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ. №27,
მე-2 სართული, ოთახი №3, ტელ.: 790 74 68 10
ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

**ჟინნაღვი მასალის
მანთავსება ფასიანია!**



ლამაზი ქალის ჰაერონსა...



მინიური ყოფიერების მარადიული მეტამორფოზა, შობა და აღზრდა, დაღუპვა და კვლავ წარმოშობა - ესაა განუწყვეტელი და დაუღალავი ჯაფა დედებისა და თუ დედამინაზე ყველაფერი განახლებადი განაგრძობს არსებობას - უწინარეს ყოფლისა, დედობრივი სანყისი - გასაგები ხდება, რომ შემქმნელ ღვთაებას მივცეთ ქალთა სახე და ვუნოდოთ საპატიო სახელი დედებისა.

ყოველივე მშვენიერი ადამიანში მზის სხივებისა და დედის რძისგანაა, სანამ კაცს დედა ჰყავს, ის სულ ახალგაზრდად ითვლება. დრო ვერ კლავს დედას, ვერ დაგავინწყებს. მის ასიათასჯერ ხელმონაკიდებ კედელყურეს რომ ვუბრუნდებით, დედა სამარადისოდ ცოცხლდება.

ჩვენთვის, ქართველთათვის დედა მარტო მშობელი როდია, ქართველი თავის ენასაც „დედა ენას“ ეძახის, უფროსს ქალაქს „დედა ქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოდს სახლისას - „დედაბოდს“, უდიდესს და უმაგრესს „დედაბურჯს“,

ხედავთ, რამდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამდენად გამრავალფეროვნებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და სიმკვიდრეც კი აღნიშნულია დედობით, ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელმა! სიტყვა ქალი განა იმოდენს გვეტყვის, რასაც „დედა“ გვეუბნება? დედის ხელები? - ალერსიანობის განსახიერებაა. დედის ხმა? - წყაროს წკრიალი და სიმია. დედის შეუდარელი სამკაული კი სათნოება და სინაზეა. დედის საფლავი ძეგლია მარადიულობის შარავანდელით გაბრწყინებული.

ბებო ხომ დედის ნექტარით გაჯერებული თაფლია ჩვენი ცხოვრებისა. ბებიას გამომცხვარი კვერი ტკბილიაო, ამბობენ.

მაგრამ ქალი ბებობის ასაკისა იქნება თუ კიდევ უფრო ახალგაზრდა, მისი ავგაროზი სისადავე და უბრალოებაა.

კოკო შანელი ამბობს: არაფერი ისე არ აბერებს ქალს, როგორც მდიდრულად ჩაცმაო. იმასაც ამბობს შანელი, „ყველა ქალი ლამაზი როდი იბადება, მაგრამ თუ 30 წლის ასაკში ლამაზ ქალად არ იქცევა, ის უბრალოდ ბრიყვია-ო“. შეუძლებელია არ დაეთანხმო ამ ფრაზების ავტორს. სიმწიფის ასაკში ქალი მოსაკრეფად გამზადებულ ვენახს ემსგავსება, რომელიც თავის სიტკბოთი და მშვენიერებით თვალსა და გულს გტაცებს.

ქალისთვის ყველაზე უკეთესი ასაკი მიმზიდველობის მხრივ 45 წელი ყოფილა. ქალი ხომ ტრფობისთვისაა გაჩენილი, სატრფიალო საგანი კი





ქალი



ემანუელქალბამ წაიღო
 მსუგებო ჩქარაფინარი,
 ნეტა კი ვინმე მომკონდეს,
 რომ უმისობა ვინანო.
 ანა კალანდაძე

არასდროს ბერდება.

ქართველ ქალებზე ამბობენ საქართველო ლამაზმანების ორანჟერეა გახლავთო.

„საქართველოში ყველაფერი კარგია, მაგრამ ქართველ ქალებზე უმშვენიერესი მე არაფერი მინახავს. მე მათი შემყურე, უნებლიეთ განცვიფრებაში მოვდიოდი. ამ ქვეყანას კაცმა შეიძლება უნოდოს სავანე. აქ ხშირად შეგიძლიათ ნახოთ ულამაზო და შეუხედავი დედაკაცი. თოთქოს ყოველ ნაბიჯზე გვხვდებიან ლამაზმანები“ - ამბობს ოსებ დელაპორტი.

ხსოვნა სილამაზის შესახებ არ ბერდება. თავად სილამაზე კი ... რაოდენ ამაყი ხარ როდესაც მიდიხარ ქუჩაში და თვალს გაყოლებენ, რაოდენ ძნელი გადასატანია, როცა ეს აღარ არსებობს...



* * *
 ვინა სთქვა ტრფობა ბერდება
 და სატრფიალო საგანი?
ვაჟა-ფშაველა

* * *
 ბუნების მშვენიერება - ქალი,
 სიბერისა და წარმავლობისათვის არ მემეტება.
ოტია იოსელიანი

მაგრამ მარტო სილამაზე იას ნააგავს, რომელიც ძალიან მალე დაჭკნება. დიახ, ყოველ ღირსებას მოკლებულია ის ქალი, რომელიც მხოლოდ სილამაზით იწონებს თავს. ლამაზი ქალი თვალს მოსწონს, კეთილი-გულს, პირველი-ლამაზი ნივთია, მეორე- საუნჯე უკდემო. სილამაზე ყვავილია, თავის შტოს მიმაგრებული. ქალის შეუდარებელი სამშვენიისი გონებაა.

და მაინც, ამბობენ მამაკაცები ლამაზ ქალს ბუზებივით ეხვევიან, მაგრამ ცოლად რატომღაც სრულიად უბრალოები მოჰყავთო. არსებობს ხალხური ლექსი:

„ლამაზი ქალის ზატრონსა
 ძალღი უნდა ჰქეავდეს ფრთხილი,
 ან ძალღი უნდა ფრთხილობდეს
 ან და ქალის დედამთილი“.

თუ ბალზაკს დავეყრდნობით, ქალი თუ მეუღლისგან შესაფერის პატივისცემას და სიყვარულს გრძნობს, ის სხვისკენ არასდროს გაიხედავს. მამაკაცს, რომელსაც შეუძლია მართოს ქალი, მას მსოფლიოს მართვაც თამამად შეეძლება. ქალი სამოთხეა, ქალი სითბოს, სიყვარულის, სილამაზის, სიცოცხლის ფუძე და საძირკველია. ქალი სრულიად სამყაროა, ქალი ცხოვრების საკაზმია. ქალი ეს არის ცა, მაგრამ ეს ცა ისე შორსაა მამაკაცისგან, როგორც მინა ცისგან.

ქალი სიყვარულში ჰგავს არფას, რომელიც თავის საიდუმლოს ანდობს მხოლოდ მას, ვინც მასზე კარგად უკრავს.

ეს მუსიკოსები კი მამაკაცები არიან. დედაკაცი და მამაკაცი - ესაა ორი ნოტი, ამის გარეშე ადამიანის სული სრულ და სწორ აკორდს ვერ შექმნის.

„სამოთხე იყო...
 დედაკაცმა დაგვაკარგვინა,
 საწმისი იყო...
 დედაკაცმა დაგვაკარგვინა,
 დანაშაული?
 თუ გიყვარდე,
 მეტი რა ვინდა?
 სამაგიეროდ, დიაცმავე იესო გვიშვა,
 სამაგიეროდ,
 დიაცმავე რუსთველი გვიშვა,
 ეს კი, მე მეკონი,
 თუ შენც იტყვი,
 ცოტას არ ნიშნავს“.

მასალა მოამზადა
ნინო რეხვიაშვილმა




ჯეჯინა მინაძე

ჯეჯინა მინაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულების ასოცირებული პროფესორის, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორის **რევაზ თოლორდავას** სამეცნიერო მოღვაწეობა დაკავშირებულია ისეთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ სფეროსთან, როგორცაა: სახელმწიფო საზღვრების მონყობის გეოგრაფიულ -კარტოგრაფიული პრობლემები. ამ თემატიკას ეძღვნება მკვლევარის სამეცნიერო ნაშრომთა უმეტესობა.

ბატონი რევაზი წარმოშობით ჩხორონყუს რაიონის, სოფელ მუხურიდანაა. იგი დაიბადა უბრალო, მშრომელი ადამიანების, შოთა თოლორდავას და ბაჩუა კაკულიას მრავალშვილიან



ოჯახში. მშობლები ოთხივე ვაჟს — ნუგზარს, რევაზს, როლანდს და რამაზს ბავშვობიდანვე სწავლის აუცილებლობასა და უპირატესობისკენ მოუწოდებდნენ. ტრადიციული ქართული ოჯახის საყრდენი შრომა, კეთილსინდისიერება და

მოყვასის თანადგომა იყო. ამ ღირებულებებზე იზრდებოდნენ ძმები. რევაზი საშუალო სკოლაში კარგად სწავლობდა და ადვილად ითვისებდა როგორც ჰუმანიტარულ, ისე ტექნიკურ საგნებს. სწავლის პარალელურად ფიზიკური შრომით მშობლებსაც ეხმარებოდა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მათემატიკის სპეციალობაზე ჩაირიცხა, თუმცა ერთი სემესტრის მერე გადამწყვეტულება შეცვალა და ინსტიტუტი მიატოვა. მალე საბჭოთა ჯარში გაიწვიეს და სავალდებულო სამხედრო სამსახური არხანგელსკის ოლქში მოიხადა. წიგნთან ურთიერთობა სამხედრო სამსახურის დროსაც არ შეუწყვეტია. კითხულობდა მხატვრულ და ტექნიკურ ლიტერატურას, იღრმავებდა ცოდნას რუსულ ენაში, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ნაწილის სამხედრო-პოლიტიკურ ცხოვრებაში და ეცნობოდა იქაური ბუნების თავისებურებებს. წიგნისადმი მისი დამოკიდებულება არ გამორჩენიათ მეთაურებს და სპეციალური ლიმიტიც კი გამოუყვეს ლენინგრადსა და მოსკოვის უნივერსიტეტებში ჩასარიცხად, თუმცა, მან სამშობლოში დაბრუნება არჩია. შემდგომ, სპეციალობის შეძენისა და უმაღლესი განათლების მიღების სურვილმა ქალაქ ლვოვში ჩაიყვანა, სადაც მისი ნათესავი პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოდეზიის ფაკულტეტზე სწავლობდა. რევაზ თოლორდავას გეოგრაფია ბავშვობიდან იტაცებდა და ამიტომაც გადამწყვეტა ინსტიტუტში გეოდეზიის ფაკულტეტზე ჩაბარება, სადაც მონათესავე დისციპლინების სიუხვე თვალში საცემი იყო — აქ მაღალ დონეზე ისწავლებოდა კარტოგრაფია, გეოდეზია, ასტრონომია, გეომორფოლოგია და სხვა. 1975 წელს საბოლოოდ ის საინჟინრო გეოდეზიის სპეციალობაზე ჩაირიცხა. სპეციალურ საგნებთან ერთად მას უკრაინულის ათვისება უწევდა, რადგან ინსტიტუტში რუსულ და უკრაინული სექტორები გამიჯნული არ იყო და სწავლა ორივე ენაზე მიდიოდა. ინსტიტუტში სასწავლო სისტემა



პიროვნება



ევროპული სწავლების მრავალწლიან პროგრესულ მეთოდოლოგიას ეყრდნობოდა. იყო ძლიერი ტექნიკური ბაზა, შესანიშნავი პედაგოგიური კოლექტივი. ყოველივე ეს სტუდენტებს ხელს უწყობდა, მიეღოთ მაღალხარისხიანი განათლება და მაქსიმალურად ჩანვდომოდნენ არჩეული სპეციალობის თავისებურებებს. ბოლო კურსზე რევაზ თოლორდავამ პრაქტიკა „საქალაქმშენსახპროექტის“ სოხუმის ფილიალში გაიარა და ინსტიტუტის დაამთავრების შემდეგ იქვე საძიებო განყოფილებაში დაიწყო მუშაობა ტოპოგრაფად. მის მოვალეობაში შედიოდა საპროექტო სამუშაოებისთვის ტოპოგრაფიული რუკებისა და გეგმების მომზადება. მოგვიანებით იგი ტოპოგეოდეზიური პარტიის უფროსი ხდება. საძიებო სამუშაოების არეალი მოიცავდა როგორც აფხაზეთის ტერიტორიას, ისე ზუგდიდის რაიონს და ითვალისწინებდა ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლების შენობანაგებობათა და ინფრასტრუქტურის პროექტების მომზადებას. იმ პერიოდში ის ბევრს მოგზაურობდა როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ისე საზღვარგარეთ — იყო ვოლგისპირეთში, ურალსა და აღმოსავლეთ ციმბირში, ასევე ჩრდილოეთ კავკასიასა და ბალტიისპირეთში, 80-იანი წლების ბოლოს კი (1987წ.) იმოგზაურა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში — ვიეტნამში, ხოლო მოგვიანებით, თურქეთის რესპუბლიკასა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (მეუღლესთან ერთად). 1980-იან წლებში მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით მოხდა ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსისა და მიმდებარე ტერიტორიის მსხვილმასშტაბური კარტოგრაფირება, რომელის შედეგად შეიქმნა ტიპოგრაფიული საფუძველი შემდგომი საპროექტო-სარესტავრაციო სამუშაოების ჩასატარებლად. ხშირი მივლინებები, განსაკუთრებით მშობლიურ ქვეყანაში, იმითაც იყო მიმზიდველი, რომ უფრო ახლოს ეცნობოდა სამშობლოს ბუნებას, მის ლანდშაფტს, ისტორიულ ძეგლებს, მშობელ ხალხს, რაც უორკეცებდა პატრიოტულ გრძნობას და პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას მისი დაცვისა და მოფრთხილებისათვის. ეს განცდა რომ აღმატებულია რევაზ თოლორდავას ხასიათში, თვალნათლივ გამოჩნდა აფხაზეთის ომის ტრაგიკული მოვლენების დროს, როდესაც უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში, თუმცა მანამდე სურვილი გაუჩნდა

— საპროექტოში სამსახურის ჰარალელურად თავისი ცოდნა საგანმანათლებლო კუთხითაც გამოეყენებინა და 1983 წელს პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო სოხუმის უნივერსიტეტის ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტზე და აგრეთვე საქართველოს სუბტროპიკულ ინსტიტუტში, სადაც ასწავლიდა — კარტოგრაფიას, ტოპოგრაფია-გეოდეზიის საფუძვლებს და ტოპოგრაფიულ ხაზვას. ის პერიოდი იმითაც იყო გამორჩეულად მნიშვნელოვანი, რომ 1989 წელს ოჯახი შექმნა როზა კვარაცხელიასთან, რომელიც თბილისში 30-მდე საფოსტო განყოფილების უფროსის მოადგილედ მუშაობდა. დაქორწინების მერე მან მუშაობა გააგრძელა სოხუმის მთავარ ფოსტაში რევიზორ-ბუღალტრად. პარალელურად სწავლას იწყებს თსუ სოხუმის ფილიალში ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტზე (დაუსწრებელ განყოფილებაზე), რომლის დამთავრება უკვე თბილისში გადმოტანილ სოხუმის ამ უმაღლეს სასწავლებელში მოუწია. ქალბატონ როზას შემდგომი კარიერა აფხაზეთის განათლების სამინისტროსთან არსებულ საღამოს სკოლაში გაგრძელდა, სადაც ის გეოგრაფიის მასწავლებლად მუშაობდა.

ბატონი რევაზი საკუთარი თვალთ ხედავდა და განიცდიდა სოხუმში დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებს. ქალაქში არსებული დაძაბული ვითარება 1992 წელს უკვე საომარ მოქმედებებში გადაიზარდა. იგი მონაწილეობდა 1993წ. დასავლეთის ფრონტზე მიმდინარე ყველა საომარ ოპერაციებში. იბრძოდა 23-ე ბრიგადის მე-3 ბატალიონში. 1993 წლის მაისში გადაყვანილ იქნა II საარმიო კორპუსის საარტილერიო პოლკში და სხვა. მონაწილეობდა სოფელ შრომის გარშემო მიმდინარე ბრძოლებში, ხელმძღვანელობდა სოხუმის შემოგარენში არსებულ არტილერიის მართვის ცენტრს. ომის ბოლო პერიოდში იბრძოდა კოდორისა და სოფელ იაშტუხის მიმართულებაზე. ომის დამთავრებამ სოფელ ზემო კელასურში მოუსწრო. მანამდე მეუღლე და უფროსი ქალიშვილი — პატარა თამარი, დედაქალაქში ჩაიყვანა და თბილისის ზღვასთან მდებარე სასტუმრო „ტურბაზაში“ დააბინავა. ბედმა არგუნა თანამემამულეებთან ერთად ის ავადმოსაგონარი ჯოჯოხეთი გამოეველო, რასაც გოლგოთად ქცეული კოდორის ხეობა ჰქვია. მისთვის ძალიან მწარე გასახსენებელია მაშინდელი კომმარული დღეები და განცდა იმისა, რომ უძღური ხარ ამ უბედურების წინაშე, შველა გინდა და ვერ ეხმარები



პიროვნება



სასონარკვეთილებაში ჩავარდნილ ადამიანებს.

თბილისში იძულებით დამკვიდრებულმა ძალა მოიკრიბა და ცხოვრების დინებას მიჰყვა. ცოლ-შვილთან ერთად სასტუმრო „ტურბაზაში“ 15 წელი გაატარა. იქვე ახლოს დევნილი ბავშვებისთვის საბავშვო ბაღი „იმედი“ და საღამოს დაუსწრებელი სკოლა გახსნა. სამსახური სოხუმის უნივერსიტეტში გააგრძელა პედაგოგად და ცოდნის გაღრმავების მიზნით დაუსწრებლად ასპირანტურის სრული კურსი გაიარა (გეოდეზიის, კარტოგრაფიის და გეოინფორმატიკის მიმართულებით). მალე მონდომებით შეუდგა საკანდიდატო დისერტაციას თემაზე — „სახელმწიფო საზღვრების მონყობის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული საკითხები“ — მუშაობას და 2002 წელს წარმატებით დაიცვა. დისერტაციის ხელმძღვანელი გახლდათ პროფესორი ჯანსუღ კეკელია.

გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი რევაზ თოლორდავა 40-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთა ძირითად თემატიკას წარმოადგენს სახელმწიფო საზღვრებთან დაკავშირებული საკითხები. მკვლევარ თანაავტორებთან ერთად გამოცემული აქვს წიგნი — „საქართველოს საზღვრები“, გამოსაცემად მზადდება სახელმძღვანელო — „ტოპოგრაფია-გეოდეზიის საფუძვლები“ დამოზარდითაობისათვის განკუთვნილი წიგნი — „საქართველოს საზღვრები“. მეცნიერი გეოგრაფიის აკადემიურ დოქტორ, თსუ-ს გეოგრაფიის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორ ქალბატონ დალი ნიკოლაიშვილთან და სხვა კოლეგებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფო საზღვრების ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნაში, რაც მისგან დიდ ძალისხმევას და პასუხისმგებლობას მოითხოვს.

ბატონი რევაზი სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაშიც იღებს მონაწილეობას და სპეციალისტებს საინტერესოდ მომზადებულ მოხსენებებს სთავაზობს. ამას გარდა, არცთუ იშვიათად გამოდის ტელევიზიით სახელმწიფო საზღვრებთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ჩვენთან საუბარში მეცნიერმა განაცხადა:

— საქართველოს დღეს თითქმის არ აქვს დამოუკიდებელი სახელმწიფო საზღვრები. მხოლოდ თურქეთიდან და თერგთან გადის ოფიციალური სასაზღვრო ხაზი. რთული ვითარებაა რუსეთის ფედერაციის, მამისონის უღელტეხილს, აფხაზეთის და სხვა მონაკვეთებზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ძალაშია ყოფილი საბჭოთა კავშირის საზღვრები, რომლითაც სარგებლობენ მოსაზღვრე

რესპუბლიკები. მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ დღეს მოქმედი მეცნიერ-მკვლევართა ძალისხმევის მიუხედავად, რომელთა შრომის შედეგად, ისტორიული და თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით დადგენილი და სისრულეში მოყვანილი იქნა ქვეყნის საზღვრების რეალური სურათი, პოლიტიკური გადაწყვეტილების დონეზე საქმე მაინც არ იძვრის ადგილიდან. როგორც ჩანს, ეს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საკითხი ვერ, თუ არ ჯდება ხელისუფლების პოზიციაში. არ არსებობს ამ პრობლემის მოგვარების სათანადო პროგრამაც. არადა, ჩვენი გეო-სტრატეგიული ვითარების პატრონებს არ გვაქვს დამშვიდების უფლება, რადგან ეს საკითხი პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის დემოგრაფიულ პრობლემას. მოგეხსენებათ, საზღვრების ძირითადი ხაზი მთიან რეგიონებში გადის და იქ მოსახლეობის შემცირების ტენდენცია კატასტროფულ მასშტაბებს აღწევს.

რევაზ თოლორდავა საქართველოს კარტოგრაფიის ასოციაციის და გეოგრაფიის საზოგადოების, ასევე სოხუმის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრია. იგი, როგორც პედაგოგი, ერთგულად ემსახურება მომავალი გეოგრაფების აღზრდის საქმეს და მოხარული იქნება, თუ სპეციალობის გარდა, მათთვის უმთავრესი ფასეულობები მოქალაქეობრივი პოზიცია, კეთილსინდისიერება, მოყვასის თანადგომა და განათლებისკენ სწრაფვა იქნება. ამ ღირებულებებით აღზარდეს ბატონმა რევაზმა და ქალბატონმა როზამ ქალიშვილები. უფროსმა დამ, თამარმა ილიას უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი დაამთავრა და ამჟამად სწავლას ტალინის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში განაგრძობს. წარმატებული ახალგაზრდა ქალიშვილი გაცვლითი პროგრამის ფარგლებში არაერთხელ ყოფილა ევროპის ქვეყნებში, მუშაობდა ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაშიც. უმცროსი ქალიშვილი მარიამი 1999 წელს ქალაქ თბილისში დაიბადა, იგი ამჟამად 39-ე საჯარო სკოლის ფრიადოსანი მოსწავლეა.

რა შეიძლება ვუსურვოთ ჩვენი ნარკვევის გმირს? უპირველესად ყველა ჭეშმარიტი ქართველი პატრიოტისათვის უმთავრესი საფიქრალისა და ნატურის ახდენა — ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანება. დანარჩენი კი ნიჭს, განათლებას, შრომისმოყვარეობას და მიზნისკენ სწრაფვას მივანდოთ, რითაც ასე გამოირჩევა რევაზ თოლორდავას ოჯახი.



ნა ხდება ფოთის მერიის

კობოკ უეუსკულა დანაკიკები ფოთის მერიამ შუკნალ „სამეგრელოს“? ტყუილი, თუ იზნოკიკება?!

ფოთში, ქალაქის მერიაში, საინტერესო ფაქტი შემემთხვა, რაც ძალიან მინდა ჩემმა მკითხველმაც გაიგოს. რაშია საქმე? - გაგიკვირდებათ და მსგავსი უპატივცემლობა, ჩემი რედაქციის, ჩემი საქმიანობის და პიროვნების მიმართ ჯერ არავის უცდია, აქ მაინც არიან პირველები...

მოდით დავინყოთ თავიდან:

2016 წლის დადგომამდე, 2015 წლის დეკემბერში ჟურნალ „სამეგრელოს“ რედაქციის სახელით დავბეჭდე სამეგრელოს საეკლესიო კედლის კალენდრები A3 ფორმატის და სამეგრელოს რეგიონების გამგებებს და მერიებს ვთხოვე შეესყიდათ. როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ზოგმა უარი მითხრა, ზოგიც უყოყმანოდ დათანხმდა. ფოთის მერიაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ბატონ ზვიად შუბითიძეს ვესაუბრე. კი ბატონო, გამოგზავნეთ და თვის ბოლოს, 20 რიცხვისთვის როდესაც თანამშრომლები ხელფასს აიღებენ უმაღლესადმოგირიცხავთო (კალენდრების საერთო ღირებულება 100 ლარის ტოლფასი იყო). გავგზავნე და დაველოდე 20 რიცხვს. მას შემდეგ 20 იანვარიც გავიდა, 20 თებერვალიც, მაგრამ მუდმივი ტყუილის საფუძველზე თანხას არავინ მიხდის.

უფრო მეტიც, თავიდან ბატონ ზვიადს ჩემი საუბრის მოსმენაც არ სურდა, ტელეფონს მითიშავდა, როდესაც ზნეობასა და მორალზე მივუთითებ, რომ ქალბატონს არ უნდა გაუბედოს ტელეფონის გათიშვა და ეს ელემენტარული ეთიკის საკითხია, მიზეზად ნომრის ამოუცნობობა დაასახელა, ანუ მე კი არა, სხვას უთიშავდა, ჩემი ნომერი ვერ იცნო?! ესეიგი ბატონი ზვიადი მხოლოდ

ნაცნობ ნომრებს პასუხობს! ეს ხდება ხალხის მიერ არჩეულ ქალაქის მერიაში!

ამას მოჰყვა კვლავ მუდმივი დაპირებები. თუმცა სამართალს თუ ვერც მერთან ვიპოვიდი, სიმართლე გითხრათ, არ მეგონა. ბატონ ირაკლი კაკულიას როცა ვესაუბრე, თავდაპირველად ჟურნალ „სამეგრელოს“ გამონერა შევთავაზე. პასუხად მივიღე - მე ეგ ჟურნალი არ მაინტერესებს! - კარგით, ბატონო ირაკლი, მაშინ მეორე საკითხი, რის გამოც დაგირეკეთ, თქვენმა ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ბატონმა ზვიად შუბითიძემ... და მოვუყევი ეს ყველაფერი. მან მითხრა, რომ საქმის კურსში არ არის. გაარკვევს და ბატონ ზვიადს თანხის ჩარიცხვასაც დაავალებს, - თუ თავის თავზე აიღო, პასუხსაც თავად აგებს. - იყო პასუხი. მას შემდეგ ერთი თვე გავიდა, მაგრამ თანხა არ მიმიღია! აი, ეს არის მოკლე ქრონოლოგია იმ საქმისა, რასაც მე ჩემის მხრიდან ვერავის ვაპატიებ. არ ვიცი ამ საქციელს რა დავარქვა; - მასხრად აგდება, იგნორირება თუ თანხის გამოძალვა!

საინტერესოა, ბატონ მერს ჟურნალი „სამეგრელო“ არ აინტერესებს, რომელი პრესაა მისი ინტერესის სფერო?! გარდა ამისა, მაინტერესებს ფოთში რეპორტაჟი გავაკეთო, გავიგო, რას ფიქრობს ხალხი, როგორია მათი ადგილობრივი ხელისუფლების დანაპირების აღსრულება, მარტო მე მატყუებენ, თუ მთელ ქალაქს? ამ ყველაფრის შესახებ მომდევნო ნომერში ვისაუბრებთ. დანარჩენი კი განსახილველად თქვენთვის მომინდია, ძვირფასო მკითხველო, ეს ხდება თქვენს მიერ არჩეულ მმართველ ორგანოში.

ნიმო რახვიაშვილი



სხლკრეაგის ანაზრეკლდი იოსებ მატყა-უბილაძეს ფარულქადაგაფი

ეთერ მატყა-უბილაძე — მზრუნველი და მოსიყვარულე დედა და მეუღლე, ცოტა არ იყოს მკაცრი ბებიია, ემოციური და საინტერესო მოსაუბრე და ბოლოს, უბრალოდ, ძალზე სიმპათიური ქალბატონი. გავლილი აქვს ცხოვრების ხანგრძლივი და რთული გზა. ამ გზაზე ბევრი იყო წარმატება და სიხარული და ყველაზე მეტი — შვილმკვდარი დედისა და სამშობლოდაკარგული ადამიანის მწუხარება. ახალგაზრდული წლები მოზარდი თაობის აღზრდასა და სწავლებას შეაღია. მუდამ ენერგიული და ახლის მაძიებელი



იოსებ მატყა-უბილაძე

— ცდილობდა, მოსწავლეებისათვის უფრო მეტი მიეცა, ვიდრე სკოლის პროგრამა ითვალისწინებდა. ინგლისური ენის გარდა ახალგაზრდებს ასწავლიდა მსოფლიო ლიტერატურის შედეგებს, მშვენიერებისა და სიკეთის აღქმას, დამოუკიდებელ აზროვნებას და საკუთარი შეხედულებების დაცვას. წიგნი მიყვარსო — ამბობს ქ-ნი ეთერი. წიგნი მიაჩნია საუკეთესო საჩუქრად და თავის თავსაც შესანიშნავ წიგნებს ჩუქენს. აქვს არაჩვეულებრივი პატარა ბიბლიოთეკა, რომელიც ყველა გემოვნების მკითხველის ინტერესს დააკმაყოფილებს. ნანობს, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი ვერ გახდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, რომ საკუთარ თავში

პოეტური ნიჭი აღმოეჩინა და ერთ მშვენიერ დღეს ხელში აეღო კალმისტარი და რვეული, რადგან მიხვდა, რომ მოსული აზრები უნდა ჩაენერა, თორემ მათ დინებას ვერ დაეწეოდა და უთქმელი დარჩებოდა ის, რის თქმასაც გული და გონება ითხოვდა. ასე გაჩნდა მეგობრებზე, სამშობლოზე, ახლობელ და საყვარელ ადამიანებზე, მონატრებაზე, მწუხარების გახსენებაზე დაწერილი სტროფები. ზოგჯერ მისი ლექსები პატარა ჩანახატებს წააგავს, რადგან რითმა აკლია, მაგრამ ქ-ნი ეთერისთვის ამაზე მნიშვნელოვანი იმ გრძნობებისა

და ფაქტების აღწერაა, რომელიც იმ წუთში მის სულს ალელვებს, რაც მეხსიერებაში ამოტივტივდა და გახმოვანებას ითხოვს. დროდადრო სამეგრელოს ნოსტალგია მოეძალება და მშობლიურ ენაზე მოესიყვარულება იქაურ ნათესავეებსა და მეგობრებს. ამჟამად ქ-ნი ეთერისათვის ფრიად პროდუქტიული პერიოდია. იგი ბევრს წერს, ცდილობს, ყველას უთხრას სათქმელი, გამოხატოს თავისი სიყვარული და პატივისცემა და დაუტოვოს შთამომავლობას მისთვის საყვარელი და ახლობელი ადამიანების სახელები და ოდესმე, დღეს ასე შორეული მშობლიური კუთხის ნახვის სურვილი.

გულიკო გვილაძე



პოეზია



ლილი ვეკუას

გაღიშ გუშნავობა რდით
 ასე თქვა რეთ ზუგდიდის,
 სისკვამე დო გოჯინათ
 მუთუნს ვემეჩანდით შხვას.
 მეუღლე თქვა ჯგირი რცუნდეს,
 ნათელს ქორდას თიში შური,
 ირკოჩის ჯგირს ორთედდ,
 ბრელს გოუნწუ თიქ შარა-კარი.
 სქუალეფი სუმი რცუნა:
 ჟირი ძღაბი დო ართი ბოში,
 დათოქ საინჟინრო გათუ
 ქოცხოვრენს ასე მოსკოვს,
 თიმ ოსური ექიმი რე,
 რჩქინელი დო თავმდაბალი,
 გოჯინელთ სქვამი რე დო
 ხაზეიკობათ უჩქუ ჯგირი;
 თიმ ნაკეთეფი ოჭკომალით
 ქუმაფუ მოსკოვს მა ჭკუმილი.
 დათოქ ლილით ქუმომცუნეს
 ბუტოვოს ჩქიმ დაღიშ ბინაშა,
 ართიან გაკლანგორით დო
 ასეთ ხშირას ბრავადანთ.
 დათო დო მუშ ოსურს
 ხვალე ართი ბოში ცუნა,
 თიშათ დავით უჯოხონა,
 დიო ხან ხეს ვაუნწუენს დო
 წანას სკოლაშა გოუტენა.
 ლილი კამოლაწკემა რე
 ინა მუშ ექიმი სქუა რე,
 გალს ვორდინი, დებლანი დო
 ქიმუაკითხე კამოლას,
 მუთუნი ჩქიმდა ვადურკებუ,
 შემიმოწმ გური, ჭაჭა, ჩხონჩხი,
 დიაგნოზი ქიგემიქუნი,
 გაიშამჭარ წამალეფი.

მა შხვადო ქუორდიკონი,
 თეს ქუოკოდი ჟირ-სუმ დღას.
 ნეტე თეჯგურს ცირასქუალეფი
 მორდღას ბრელ დიდას.
 დიანა თაქი რე ქართის
 ინათ ექიმი რე შინელი,
 იშ ნამკურნალეფ ბრელი ბპირი,
 არმა რენა კმაყოფილი.
 თინაწკემა კავშირი მიღუ
 ქოურკეგენტ ართიანს,
 მინმა მა მიბგორუანქ,
 მინმა მუთ მომგორუანს
 ლილიშ სუმხოლო სქუალეფი
 ჩქიმ მოწაფეეფი რდეს,
 ლოლათ ჩქინწკემა მუშენდ,
 გაღიშ ჰირველ სკოლას,
 კლასეფი შკას ირთუედ,
 გვერდი ლოლას გიმოცუნდ
 დო გვერდი ჩქიმწკემა დოსკიდუდუ.
 ლილი ქორთულს ოგურუანდ
 ჩქიმ უკლამ სქუა ბესოს,
 დო ლილიშ ჭყოლოფუათ
 ქიქოროფუ თიქ წიგნი დო
 ქოთ ნინა ჩქინ ქორთული
 ლილი ხვალე უშტელი ვარე,
 იშ ეოფილი მოსწავლეეფ რენა
 ქოთ რჩქინელი დო ქოთ რდილი;
 ინა რე ჯგირი აღმწრდეფი
 დო თის მიდგაქ არჩქილენი,
 არმა ქორე მოგებული.
 მა ამდღა თის ვუსურვექ
 ხოლო ბრელ ხანიშ რინას
 დო ჩქინჯგურს მომღვრებს
 ლილსალ გიმაწურაფალი დო
 მომღვართ-მომღვარი შიებუდას.

ღამარა ჩხეიძეს

ქალბატონთ შორის რჩეულო,
 მომღვართ-მომღვრად წოდებულო,
 ღამარა და კახტა ქალო,
 თავადთა შთამომავალო.
 მმის და მეუღლის სიკვდილით
 უდროოდ, თმებგაჭაღარავებულო,
 რამაზის და ნანას ტრაგედით
 ტკივილმოუშუმებულო.

გალის მეოთხე სკოლაში
 თქვენთან ერთად ვმუშაობდი,
 კარგის მეტი არა მახსოვს,
 დიდ-პატარას თქვენ უყვარდით,
 ლანძღვა-გინება არ გჩვეოდათ,
 იყავით სიტყვაძვირი, თავშეკავებული
 და თქვენი დაბალი ტონი
 იყო ვეველასთვის მისაბამი,



პოეზია



თუ ვინმეს რამე გვიტყვიდა,
 თქვენ დედაშვილურად
 უცნებ ხელს გამოგვიწვდიდით.
 ბავშვი რამეს რომ აშავებდა,
 მას თქვენ მაგიურად არიგებდით.

გაღის მეოთხე სკოლაში
 ვიმუშავებ ჩვენ მრავალი წელი
 და ამ სკოლაში აღზრდილი
 ბევრი არის მეცნიერი,
 ლექტორი და პროფესორი
 მწერალი და მუსიკოსი.
 ჩემო ტკბილო მეგობარო,
 ლამარა შალვას ასულო
 ტკბილი ერთი მოუბარო
 და ოხუნჯობითაც განთქმულო.

თქვენი სიკვდილის ამბავი
 ლილი ვეკუამ მაცნობა,
 გაუფითრდი, ვერარა ვთქვი,
 თითქოს დამეცა თავზარი
 და როცა სული მოვითქვი,
 დაუურეკე ვეველა გალელს,
 რომლებთანაც მე ვმეგობრობ
 და ეოველმა ჩვენგანმა
 შვილებს ვუთხარით სამძიმარი.
 ცუდი არის, რომ ლამარას
 ბევრნი ვერც კი დავიტირებთ,
 გალში წასვლა ძნელი არის
 და სწორედ ამიტომაც,
 რომ მეგობრის საფლავს
 ცრემლებით ვერ დავასველებთ.

მეგობარ ლოლას!

ჩემო ლოლა სორგუანო, მშრომელ სვანთა შთამომავლო, ომარის ტკბილო მეუღლე, კაკავების ლამაზო რძალო! მინდა ხშირად დაგირეკო და შენთან ბევრი ვისაუბრო, მაგრამ მეშინია, შენ დაკავებული ხარ და ხელი რომ არ შეგიშალო. შენ კარგი მოსაუბრე ხარ და კარგი მასწავლებელი და სწორედ ამიტომ ბევრია შენთან მომხადების მსურველი. შენ მშვენივრად დაეუფლე უილიამ შექსპირის ენას, თუმცა ამერიკელებმა ეს ენა ისე შეცვალეს, რომ ის ცოცხალი იყოს, ბევრს ვერას გაიგებდა. ამ ამერიკულ ინგლისურში არქაიზმზე უფრო მეტი ნეოლოგიზმია. სწორედ ამის შედეგადანა რომ ზატარა ინგლისელებს მათი ენა სანახევროდაც ვერ გაუგიათ.

ჩემს ეოფილ მოსწავლეს ელისო კახიანს

ადგომასაც ვერ ვასწრებდი,
 თავში ლექსი ტრიალებდა
 რითმების სხვადასხვა წეება
 ერთურთს ცვლიდა, ტრიალებდა,
 ჩაწერასაც ვერ ვასწრებდი,
 ისე იცვლებოდა ბჭკარი,
 თითქოს თაფლს დასეოდა
 უთვალავი ფუტკრის ჯარი.
 ამ დღეებში რაც აქ მოხდა,
 ძნელი აღსაწერი არის,
 ჩემს ელისოს, რაქდენის ასულს
 დაეკეტა ხანლის კარი.
 მის ერთადერთ ვაჟკაც კოკას
 და მანხო ლემონჯავას ძმისშვილს
 სხვა მეგობრებთან ერთად
 შეუმოკლდათ დრო და ხანი.
 ოთხი ვაჟი დევნილები
 გლდანის მცხოვრებლები იყვნენ,
 აფხაზეთის ომს გადაურჩნენ,
 და სატანამ აქ რა უყო?

დაბადების დღე ჰქონია
 ჩვენ უწეინარ და მშვიდ კოკას,
 ძმაკაცები დაზატეა
 და აღნიშნეს ეს თარიღი.
 ერთი მანქანა დაბრუნდა
 იმ საბედისწერო ღამეს,
 მეორეს შეავგვიანდა,
 მიაღაგეს არე-მარე.
 მაგრამ უბედურმა ბედმა
 აურიან მათ გზა-კვალი
 და ხიდიდან გადავარდა
 ჯიანი მათი მთლად ახალი.
 ოთხნი ერთად დაიღუპნენ
 სხვები სიკვდილს ახლაც ებრძვის,
 ერთი კიდევ ცუდად არის,
 ან იქნებ მკვდარიც იყოს.
 დემერთო, ამ უბედურებას
 არ ემჩნევა შენი კვალი,
 ეს სატანას ხელწერაა,
 ასეთი რამ მისით არის...



პოეზია



იმ დაღუპულ მძაღნაფიცებს
 ოჯახში ჰყავთ ძმანი, დანი,
 ჩვენს ელისოს და რაინდს
 დარჩათ ირინა მომაკვდავი...
 არ ვიცი, როგორ გავაძინებო,
 რომ დარჩენ ისინი ცოცხალნი,
 შვილით მოკლულ დედ-მამასე

უფრო მწარე რამე არის?
 მე ეს თვითონ განვიცადა
 ორმოცი წელი არის,
 მაგრამ მე სხვა შვილებიც მყავს,
 შვილიშვილნიც საფიცარი
 და ამდენ ხანს რომ ვიცოცხლე
 განსაკვირი აღარც არის.

ჩქინი გულის დო კოტეს

ჩქინი გულის დო კოტეს
 სასახელო ცირეფი ცუნა,
 სისქვამე დო ზრდილობათ
 ართიანიში უჯგუში რენა.
 ართი გვალა გულის ქოჯ
 დო თენა რე ხათუნა,
 მაკიას ნინო ჯოხო,
 თინა ქოჯ ჟირსოლოს.
 თე ძღაბეფიში ქომონჯეფი
 თენეფს გალმე მოთხოზნა,
 ჭიჭენობაშე უჩქედეს,
 მი რდგ თინეფიში მშობლეფი
 დო თინეფიში ოჯახეფს
 გალს ოცქვანდ ირიკოჩი.
 ხათუში ქომონჯი მიშა რე
 დო გვარო რე ჩიკვატია,
 ნინოშის ვია ჯოხო
 დო გვარო – ზარანდია.
 ნინოს ჟირი ძღაბი ეუნსუ:

თამუნა დო თეონა;
 ხათუს ეუნსუ ძღაბი დო ბოში
 მუ რე თინეფს ვაუჩქუნა?
 თამუქუ ზირველი კურსი დოკილე
 დო ქიმეჩეს ოში ქულა,
 თავისუფალი ISM-ს
 იში უჯგუშ მითინი ვაეუნა.
 თეონა დიო ჭიჭე რე,
 მა-VI კლასშა გინორთ თიქ,
 ით ჯგირი მაგურაფალი რე,
 შურთ ვაკანსკიდ მხვეფს.
 ალიკო ვითანთხი წანერი რე,
 უხარენს მიშას დო ხათუს გურსუ,
 ანა ვითოჟირი რე მარა
 ელათხოზ ჯიმას ხუც.
 თეჯგურა მოთალეფიში მიშარნა
 მის რე ვამწუკუნანს გურს?
 ათეშენი რე, გული დო კოტე
 ახალგაზრდათ გრძენანს დუცუ.

მარიაშის ნათლობა

ჯერ ერთი წლისაც არ არის
 ჩვენი მერვე შვილიშვილი,
 მას სახელად მარი ჰქვია,
 გოგონაა ძალსე თბილი.
 დედას ერთ წამს არ შორდება,
 ვით კენგურუს – მისი შვილი,
 ნათიასაც არ აწუხებს,
 ჩანთაში ჰყავს გამოზრდილი.
 სადაც მიდის, იქით მიჰყავს,
 ჩაცმული ან ტანგანდილი
 იატაკზე ცოცვა-ხოხვით,

ზურგიც კი აქვს გამოცდილი.
 ხელს მოკიდებ, წამოდგება
 და გაივლის, ვით მოზრდილი,
 დათოს ვეველა შვილი უევარს,
 აქ რა არის განსაკვირი,
 მაგრამ ზაწია კურდრაჭამ
 ის განადა უფრო რბილი.
 დღეს მარის ნათლობის დღეა,
 ნათლავს ვახოს ქალიშვილი,
 ნათლია ჩვენი სოფლა,
 უკვე ექიმად ცნობილი.

ჩქინ დათოში ოჯახის

ნათია დო მუშ დიდას
 მა მანგარო ვუმარდექ,
 სუმი მოთას ქომირდგნა

ართიანიშ უჯგუშის...
 ინეფშე მა შორს ვორექ,
 ართ ხე ვემამხვარეაფუ,



პოეზია




თექ სოლო ვორდინი
 არმა ჰატის აშო ბცენდ,
 მოსვასვილს დო მოწკანტილს,
 აწომდგენდეს ოჭკუმალს.
 გური ჭვილი, სქუნანდურა
 ჩქიმი მზახალ ნაირას
 დიდასალო ოქცუ დათო.
 ნათიამ სქუალეფით მეუღუ
 თის მუშ დღალეფი.
 გილაყუნს ირდინაშა
 მუში გიორგი დო თეონა,
 ასე შურო ვახოდ შხვაშა
 ვეგ ნასკიდ მარიაშს,
 ინა ღორონთიმ ნახუქერ რე,
 ზიჯიკვარკვალა მუმასალო,
 ღვანწიკვი გოფიშქვინაფილი,
 ბჟალარაშ მაცური რე
 ჩხვინდი კუნტა, თოლეფი ღია
 ოსტატიმ ნახანტას ქოჯ.
 მადლობაში მეტი მუ მათქუე,
 შხვა ვამიღუ ორაგადე
 ჩქიმი ნათიას, სკვამ ცირას,

დიდალობათ უჩქუ ჯვირი.
 ართიანს ქიმეჩინუდათ
 დო მუთუნი ქუმორმენანდა
 მა მილალდას თქვანი ჭირი.
 შრომათ გიჩქენა, მოსვანჯათ,
 ბაღანებგეთ ხეს უნწეგნთ.
 გვალა რენო, ზღვა გოკონო,
 თინეფუა ვადირეკებუნა მუთუნი.
 სკაიპით დო ვიბერით
 გორწეფთ დო ჩქი თეთ ბხარენთ
 დო თენა ვაპოფედკონი,
 მა დო ქორა ვაგაბრხვდით უთქვანეთ.
 წირ ზაფხულს ქართის ქორდით
 უკული ცემს დო ბათუმს,
 ზღვაქ შურო ვამოირთეს დო
 ვართ გაყუს ჯვირ დღალეფქ.
 თე დღალეფს დათო დო ნათიამ
 ისვანჯანა ჩხეთის,
 ნათიამ დაბადებაში დღა
 ინეფქ ზრალას აღნიშნეს
 კუტნა გორასთ ქორდეს
 დო ქოთ ჩესკი კრუმლოვს.

ჩქიმ უკლამ ქამოლსქუა ბესოს

ჩქენ ბესო ჭიჭენობაშე
 დიდსალო ირო ჭკვერი რდგ,
 წენარი დო ბენჩვერია,
 შხვასთ მუთუნს ვადუმენდ,
 მარა მითინქ ქაწეგნუკონ,
 ის ჰასუნის ქიმეჩანდ.
 ამხანაგეფი არმა უცორს,
 ვაიშაგორგნს ნამთინს.
 თინეფს სოლო ჩქენი ბესო
 ჯიმასალო მიორჩქენა,
 ამდღა სოლო შკანანიშ
 ბესო ოკავშირ მუშ მეგობრეფს
 დო შურო დრო ქამიინი,
 არმას აკომაყარანს.
 კანკალეფი მოსკოვს რენა,
 ბრელს ჩქე როსტოვს შეფხვადით
 მარა მიდგა ქართის რენი,
 შესვად თინეფს ხშირ-ხშირას.
 ბესოს მუშება ჯვირი უჩქ
 ვაუღალატ ინა შხვას,
 დო თეჯურეფი ვაყუნსუდა,
 ვალუდირთ ის ხასლას.

მოსკოვს ბრელ ხანს ქომუმენდ,
 ვაუღუდ მუთუნ გასაჭირი,
 იშ ნაშენებუ ავტო-მოიკეფს
 ამდღათ ბრელი დიხას შინანა,
 მარა ბესოს ენა მუს ოხვარ,
 ასე მუთუნს ვაშენენან,
 ათეშენი რე ამდღა ბესო
 მონღოლეეთის მითორენი
 დო თევრენი ნაშიეები ფარათ
 ჩილი დო სქუათ თაქი რენი.
 ღორონთის თის ვოსვეწექ,
 შხვანერ დროქ ქემორთას
 დო ბესოქ მუშ ოჯანშა
 მალას აშო დირთას.
 მა თის ვოცადქ
 სქუა ხასლას ქოზუნდას
 დო თამოსგთ თინა უსხუნ,
 ქამონჯ ხუჯის ელურდას.
 ანას, ნიკას დო დათოს
 მუამუში ონატრენა,
 მალას ჩქე ქომპირდანი
 ბესომ ბედნიერი დორთინა.



ვინ არიან კანადელი ქართველი ზეჟი დეგი, როგლებსაც კოლივულის ფილმებში იღებენ და რას ასწავლიან ისინი ალ ჰაჩინოს, მებ რაიანსა და სხვა ცნობილ მსახიობებს

კანადელი ტყუპი დები, 21 წლის ლანა და სოფი ფრენკელები კანადაში არიან დაბადებულები და გაზრდილები. მათი დედა, სასიამოვნო ქალბატონი, ნანა ბოხუა, პროფესიით გინეკოლოგია. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ გოგონებს ქართული წერა-კითხვა კარგად შეესწავლათ და საქართველო შეჰყვარებოდათ. შესაბამისად, დღეს ძალიან საყვარელი, მხიარული ტყუპები მშვენივრად საუბრობენ ქართულად. უყვართ საქართველო, ქართული კერძები და ჩემი აზრით, ისინი არა მარტო კანადელები, ნამდვილი ქართველები არიან, ქართული ხასიათით, გულით, ხალისითა და იუმორით.

ნანა ბოხუა: 1976 წლიდან აღარ ვცხოვრობ საქართველოში, მაგრამ, საქართველო ჩემი გული, სული და სიყვარულია. სხვადასხვა კონტინენტზე, სხვადასხვა ქვეყანაში მომინია ცხოვრება, მაგრამ საქართველო ყოველთვის ჩემთან და ჩემს გულში იყო. ჩემი ძმა, პროფესორი ზაზა ბოხუა მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის გენერალური მდივანია. მეც პროფესიით გინეკოლოგი ვარ. დიდხანს ვცხოვრობდი ყაზანში, მოსკოვში, კანადაში. ამჟამად ვცხოვრობ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჩემი შვილები კანადელები არიან, იქ დაბადებულები და გაზრდილები, მაგრამ ქართული წერა-კითხვა შევასწავლე. ყოველ შაბათ-კვირას ვამეცადინებდი, ვანერინებდი ქართულად და ჩვენი სკოლა გვქონდა. მე იმდენად მიყვარს საქართველო, რომ ჩემს შვილებსაც ჩაუწერე ეს სიყვარული.

– როგორ ცხოვრობდნენ და იზრდებოდნენ გოგონები კანადაში?

– ძალიან კარგად. სწავლა-განათლება მთლიანად ფრანგულად მიიღეს, იციან ინგლისური, რუსული და ქართული. მიუხედავად იმისა, რომ ტყუპები არიან, ერთმანეთს მაინცდამაინც არ ჰგვანან, გარეგნობითაც და ხასიათითაც განსხვავებულები არიან.

– თბილისში ჩამოდიხართ?

სოფი ფრენკელი: ნათესავები, ბებო და ბიძა საქართველოშიცხოვრობენ და ადრე ჩამოვდიოდით. კარგად მახსოვს საქართველო, მაგრამ, გავიგე, ბევრი რაღაც შეიცვალა, განსაკუთრებით თბილისში და ძალიან მაინტერესებს.

ლანა ფრენკელი: საქართველო ხომ დედაჩვენის ქვეყანაა და ჩვენც ძალიან გვიყვარს, ჩვენს გულთან ძალიან ახლოს არის.



სოფი: ქართველები ძალიან ემოციური ხალხია, განსაკუთრებით ქართული ხელოვნება მოგვწონს – ძველი ფილმები ვნახეთ და ძალიან საინტერესო იყო.

ლანა: ძალიან მიყვარს ქართული ტრადიციები, ადათ-წესები. ადრე შევეცადე, ხაჭაპური გამომეცხო, კარგი გამოვიდა, მაგრამ, ცოტა მაგარი იყო.

– როგორ გახდით მსახიობები?

– ძალიან გვინდოდა მსახიობობა, მაგრამ, ყველაფერი შემთხვევით მოხდა. მონრეალში დავამთავრეთ ჯერ საშუალო, შემდეგ – ხელოვნების ხუთწლიანი სკოლა, ახლა კი ვამთავრებთ კოლეჯს ფსიქოლოგიური განხრით. ამავდროულად, დავდივართ ბევრლი ჰილზის თეატრალურ სკოლაში.

სოფი: ერთხელ მონრეალის საავადმყოფოში დედას ახლობელს შვილი ეყოლა. მის სანახავად წავიდა და მე და ლანა წაგვიყვანა. საავადმყოფოს ეზოში იღებდნენ ფილმ „აბანდონს“. მაშინ დაახლოებით 8 წლისანი ვიყავით, პატარები და პუტკუნები. დაგვიძახეს, მოდიეთ და ჩვენც გავიქეციეთ. პატარა ქასთინგი ჩაგვიტარეს და მოენონათ ჩვენი გაცეხებული სახეები. ფილმში ვილაც კვდებოდა, ჩვენ რომ მას დავინახავდით, გაცეხებული სახე უნდა მიგველო. ყველაფერი ისეთი მოულოდნელი იყო, გვეგონა, რაღაც მოხდა,



ემიგრანტი



თან იატაკზე ვიღაცის ვითომ მკვდარი სხეული იდო, ამიტომ, მართლა ძალიან გაოცებული სახეები გვქონდა. მერე ბევრ ფილმში, ფრანგულ სერიאלებშიც გადაგვიღეს. ახლა უკვე ჩვენი აგენტი გვყავს.

ლანა: ერთი წლის განმავლობაში დეტექტიური სერიალი გადიოდა მონრეალის ტელევიზიით და მეგობრების როლს ვთამაშობდით. საერთოდ არ ვგავართ ერთმანეთს და, ალბათ, ტყულების როლში არასდროს გადაგვიღებენ. ამის შემდეგ ვმონანილეობდით სხვადასხვა ფრანგულ და ინგლისურ შოუებში. ჰოლივუდს მონრეალში თავისი ბაზა აქვს და იქ ხშირად იღებენ ფილმებს, თან, სულ ამბობენ, მონრეალი ევროპას ჰგავს და გვირჩვენია, აქ გადავიღოთ ევროპული ფილმებით. ჩვენი აგენტი ქასთინგებზე გვიშვებდა და ძალიან იოლად ვიმარჯვებდით. მონრეალში იღებდნენ, ასევე, ფილმ „ტერმინალს“, რომელშიც ტომ ჰენქსი და ქეთრინ ზეტა ჯონსი თამაშობენ. ჰენქსი ძალიან კარგი და კეთილი ადამიანია. გადავწყვიტე, მისთვის ხაჭაპური გამომეცხო და გადასაღებ მოედანზე მივუტანე. ალბათ, არ მოეწონა, მაგრამ, მაინც შეჭამა და მითხრა – კარგიაო. მეც ვუყვებოდი საქართველოს შესახებ, დედაჩემი იქიდან არის-მეთქი. ქეთრინ ზეტა ჯონსთან არ მისაუბრია, უფრო ტომ ჰენქსისკენ გამიწია გულმა, თან, ყველას ელაპარაკა. ამის შემდეგ ვითამაშეთ ფილმში „დღე ხვალის შემდეგ“, რომელიც მთლიანად მონრეალშია გადაღებული. მე და სოფი ბიბლიოთეკაში რომ სცენებია, იქ ვთამაშობთ.

სოფი: ფილმში „ენჯელი“ უკვე დიდი როლები გვქონდა. თეატრებშიც ხშირად გამოვდიოდით, მონრეალში ძალიან ცნობილი თეატრის სცენაზეც ვითამაშეთ. კინო ძალიან კარგია, მაგრამ, სულ სხვა გრძნობა გეუფლება, როდესაც სცენაზე გამოდიხარ და ხალხი ტაშს გიკრავს. ხშირად ვთამაშობთ თეატრის სცენაზე და ვიცით, რომ შეცდომის დაშვება არ შეიძლება – ამ საკითხს, ძალიან სერიოზულად ვუდგებით.

– ყოველთვის ერთად თამაშობთ?

ლანა: არა, ხან ერთად ვთამაშობთ, ხან სოფის ირჩევენ, ხან – მე. ადრე, როდესაც პატარები ვიყავით, დების როლებს გვაძლევდნენ ხოლმე. არ ვიცი, რატომ, მაგრამ, 18 წლამდე სულ ერთნაირად ვიცვამდით. მერე მივხვდით, რომ ინდივიდუალობა გვინდოდა და შევცვალეთ ჩაცმის სტილი. თან, სოფიმ ქერად შეიღება თმა, ახლა შავად აქვს და დებს საერთოდ არ ვგავართ. ფილმში „ხვალ“, რომელშიც ცნობილი კანადელი მსახიობები მონანილეობდნენ, ისეთი როლი შევასრულეთ, სადაც ერთმანეთი არ გვიყვარდა. სხვათა შორის, ძალიან კარგად გამოგვივიდა, მაგრამ, ბევრი ვივარჯიშეთ, რადგან

ჩხუბს არ ვართ მიჩვეული.

– როდის გადახვედით ლოს-ანჯელესში საცხოვრებლად და როგორ განვითარდა იქ თქვენი სამსახიობო კარიერა?

სოფი: ყველა და, მათ შორის ჩვენი აგენტიც გვეუბნებოდა, რომ აუცილებლად უნდა წავსულიყავით ლოს-ანჯელესში, სადაც ჩვენი კარიერა კიდევ უფრო განვითარდებოდა. მაშინ 15 წლისანი ვიყავით. აგენტმა დედას უთხრა, აუცილებლად გადადით იქ საცხოვრებლად და დედამაც წამოგვიყვანა. აქ ისევ ვთამაშობთ ფილმებში. რამდენიმე ხნის წინ „ბევრლი ჰილზის სითი ჰომში“ ვითამაშეთ სპექტაკლში. ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა და სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ახლა ვსწავლობთ კოლეჯში ფსიქოლოგიურზე და, ასევე, ბევრლი ჰილზის თეატრალურ სკოლაში, სადაც ძალიან ბევრ რამეს გვასწავლიან.


ლანა: უკვე ახალი აგენტი გვყავს და სხვადასხვა ქასთინგზე გავდივართ. ანა ნიკოლ სმიტთან ერთად, ლას-ვეგასში, ერთ შოუში უნდა მიგველო მონანილეობა, მაგრამ, სამწუხაროდ, გარდაიცვალა. ჩვენი აგენტი და ანა მეგობრობდნენ, ანას გარდაცვალება ძალიან დიდი ტრაგედია იყო და თითქმის ორი თვე აქ ყველაფერი გაჩერდა. ანას ჩვენც ვიცნობდით, ძალიან კარგი ადამიანი იყო. რომ ამბობდნენ, სულ წამლებზე იყო, არ არის მართალი. ჩვენ ბევრლი ჰილზის ძალიან ცნობილ სააგენტოსთან გვაქვს კავშირი. ჩვენი აგენტი თითქმის ოცი წელია, ამ სფეროში ტრიალებს და ამიტომ ის ბევრ ცნობილ მსახიობთან თანამშრომლობს, ბევრის აგენტია, მეგობრობს.

სოფი: ჩვენს კოლეჯში ძალიან ბევრი ცნობილი მსახიობი და რეჟისორი მოდის და მასტერ კლასებს გვიტარებენ, გვესაუბრებიან. რამდენიმე ხნის წინ ანჯელინა ჯოლის მამა მოვიდა და ბევრი გვესაუბრა.

ლანა: კარგად ვიცნობთ და ვმეგობრობთ დასტინ ჰოფმანის შვილიშვილთან. ერთხელ კინოში ვიყავით და დასტინ ჰოფმანიც წამოვიდა. იმდენს ლაპარაკობდა და გვაცინებდა, რომ საერთოდ არ მინახავს ფილმი. თან, ხალხი ვერ ხედავდა, ვინ იყო და ეჩხუბებოდნენ, გაჩუმდით. ძალიან კარგი ადამიანია, ისევე, როგორც ალ პაჩინო.

– იცნობთ?

– დიახ. ისიც ძალიან კეთილი და კარგია. ნიუ-იორკიდან არის, ამიტომ, ცოტა სხვანაირია, მისი აზრები ბევრისგან განსხვავდება. მას ძალიან უყვარს შექსპირი და სულ მის ენაზე საუბრობს. ზოგჯერ ვერ ვხვდები, რას ამბობს და მერე დამცინის, არა-ფერი იციო. მე და სოფი მეგობრებთან ერთად ალ პაჩინოს ფილმზე ვიყავით მიწვეულები, როგორც ახალგაზრდა მსახიობები და, შეგვეძლო, მისთვის



კითხვები დაგვესვა. მერე ყველასთან მოვიდა, გაგვესაუბრა. ჩემთან რომ მოვიდა, ვუთხარი, ძალიან მიყვარხარ-მეთქი და ლოყაზე ვაკოცე. განითლდა. მერე, რომ გამომელაპარაკა, ვუთხარი, ჯორჯია თუ იცი-მეთქი და ამერიკის შტატი ეგონა. ძალიან მიყვარს, როდესაც ადამიანებს ვუხსნი, სად არის საქართველო, რომ ის ძალიან კარგი და ლამაზია. ალ პაჩინოსაც ვუთხარი, გასწავლი, სად არის საქართველო-მეთქი. ერთხელ მივედი მასთან და ინტერნეტში ვაჩვენე, როგორია ჩვენი ქვეყანა, როგორი საჭმელები გვაქვს. ვბრაზდები, როდესაც საქართველო ჯორჯიის შტატში ეშლება. საერთოდ, ცნობილი მსახიობები ძალიან უშუალო ხალხია, უყვართ ადამიანებთან საუბარი. ალ პაჩინოც ასეთია. სამაგიეროდ, ახალგაზრდა მსახიობები სათვალეს გაიკეთებენ და ისე დადიან.

სოფი: მეგ რაიანი ჩვენთან ახლოს ცხოვრობს. აქვე არის იტალიური კაფე, სადაც ხშირად მიირთმევს სალათებს და ამიტომაც არის ასეთი გამხდარი.

ლანა: ვეუბნები ხოლმე, საქართველოში რომ წახვიდე, ასეთი გამხდარი ვერ იქნები, აუცილებლად გასუქდები-მეთქი.

- და, ბოლოს, როგორც ვიცი, თქვენ თამაშობთ ნიკოლოზ ხომასურიძის ფილმში „ექსტრემალური სიყვარული“.

სოფი: ლოს-ანჯელესის კინოსკოლაში გაიმართა კურსდამთავრებულების ფილმების ჩვენება, იქ ვიყავი და აჩვენეს ნიკოლოზ ხომასურიძის ფილმიც. მაშინ გავიცანი ნიკოლოზი. მერე მან შემოგვთავაზა, რომ „ექსტრემალურ სიყვარულში“ ბიზნესლედის როლი გვეთამაშა. ძალიან კარგი იყო გადაღებები, თან, ქართველთან პირველად ვიმუშავეთ, ქართულად რომ ვსაუბრობდით, ვერავინ ვერაფერს იგებდა და ჩვენც ვხალისობდით. სხვანაირი სიტბო ვიგრძენით ამ ფილმზე მუშაობისას. მიხარია, რომ ქართველი ადამიანი მუშაობს აქ და იღებს კარგ ფილმს. ნიკოლოზი განსაკუთრებული პიროვნებაა, კარგი პედაგოგია, ბევრი რამ ვისწავლეთ მისგან. ის ფილმის გადაღებისას ყველასთან ნახულობდა საერთო ენას.

ლანა: ნიკოლოზი თბილისში აპირებს 100-წუთიანი ფილმის გადაღებას, მასშიც უნდა გადავიღონ, შეიძლება, თბილისში მალე ჩამოვიდეთ და ძალიან გვიხარია. ორ თვეში კი, ლოს-ანჯელესში დაიწყება ახალი ფილმის გადაღება, ქასთინგი უკვე გავიარეთ და როლებზე დაგვამტკიცეს.

ნათია უტიანოვილი

მამა გაბრიელის გამონათქვამები



- ◆ გული ვისგანაც მოგეცა, იმასვე ეკუთვნის.
- ◆ ადამიანი დაულაღვად უნდა მიისწრაფვოდეს ღმრთისკენ. უფალი ამას რომ ხედავს, აძლევს ყველაფერს, რაც საჭიროა.
- ◆ უფალი არ ტოვებს ადამიანს, ადამიანი ტოვებს უფალს. ჯოჯოხეთი უფლისგან განშორებაა.
- ◆ ღირსი იოანეს სიტყვებია სახელმძღვანელოდან „კლემაქსი“: - „არა ვიმარხვე, არცა დავსწევ ქვეყანასა ზედა, არცა ვიღვიძე, არამედ დავმდაბლდი და მაცხოვნა მე უფალმან“. მდაბალს ყოველგვარი განსაცდელი ჩაუფლის და არ შეეცება. სასუფეველში სიმდაბლის გარეშე ვერავინ შევა.
- ◆ მარხვა ცოდვების სინანულია, როცა საჭმელი არ გახსოვს.
- ◆ ზოგი იტყვის - არ მაქვს ქალებზე ბრძოლებიო. რა სისულელეა. სანამ არის სქესით გარჩევა, ბრძოლებიც იქნება. მთავარია, ვისაც უნდა და არ მიდის ქალთან, ითმენს ქრისტეს სიყვარულსთვის. აი ეს არის ღვანლი.
- ◆ ვაი, იმ ბერსა და მონოზონს, ვისაც თავისი ერის სატკივარი არ სტკივა.
- ◆ როგორ შეიძლება გარეთ ვინმე გელოდებოდეს და შენ მშვიდად იყო. კარგ ბერს ქალის გული უნდა ჰქონდეს.
- ◆ ნუ ზრუნავთ ხორცისთვის, იზრუნეთ სულისთვის, სული გადაირჩინეთ. ვინც ენასა და მუცელს სძლია, ის უკვე სწორ გზაზე დგას.
- ◆ როდესაც საჭმელს სჭამ, უნდა გახსოვდეს მშვიერი, მწყურვალი, გაჭირვებული, ამაშია სასუფეველის პოვნა.
- ◆ უფალი სხვის უბედურებას იმიტომ გვიჩვენებს, რათა ილოცოთ მისთვის, დაეხმაროთ მას. ამით სიყვარულს გვასწავლის.



აღათ-წესაგი საგებრელოში

ახალი წლის დღესასწაული საზოგადოდ, მზის ღვთაების თაყვანისცემასთან იყო დაკავშირებული.

კალანდას სამეგრელოში ძველად დიდი ზემოთ ეგებებოდნენ და ამ დღისათვის, პირველ ყოვლისა ამზადებდნენ „ჩიჩილაკს“ ან „ქუჩუჩს“. ჩიჩილაკისათვის არჩევდნენ თხილის ან ძეძვის ხეს. ამ ხეს რამდენიმე დღით ადრე მოაჭრიდნენ გრძელ ტოტს და შეინახავდნენ. კალანდის წინა დღეს ოჯახის უფროსი მამაკაცი შეუდგებოდა ჩიჩილაკის გაკეთებას. საჩიჩილაკე ჯოხს ჯერ ცეცხლზე გარუჯავდნენ, შემდეგ მას გარეკანს, რომ დარბილებულიყო და სათლელად ადვილი ყოფილიყო, შემოაცლიდნენ და დაინყებდა გათლას. ჩიჩილაკის ნათალი უნდა ყოფილიყო გრძელი და ხუჭუჭა, რომელსაც „წილაშური“ ეწოდებოდა. წვეტზე მიკრული იყო ანთებული სანთლები. ჩიჩილაკს ამკობდნენ ხილითა და ტკბილეულით: ვაშლებით, ბროწეულით, ჩამოჰკიდებდნენ ჩურჩხელებს, კანფეტებს და სხვა.

დიასახლისი ამ დროს აცხობდა საახალწლო კვერებს. ჯერ გამოაცხობდა ერთ დიდი ქონიან მჭადს, რომელსაც „ბასილა“-ს უწოდებდნენ.

ახალი წლის წინ ღორს დაკლავდნენ და მოხარშულ ღორის თავს დადებდნენ საახალწლო ხონჩაზე, რომელზედაც იყო მოხარშული კვერები, საახალწლო „ღვეზელი“, „ბასილა“ და სხვა.

ახალწელიწადს დილიდანვე დაინყებოდა ერთმანეთში სიარული და ახალი წლის მილოცვა. თან მიჰქონდათ თუთის წნელები, რომელსაც ამბორით გადასცემდნენ დიასახლისს. ახალ წელიწადს, ხელცარიელი ერთმანეთთან არ გადავიდოდნენ და თან მიჰქონდათ რაიმე ტკბილეული.

ახალი წლის მეორე დღეს იცოდნენ ფერხაობა, რომელსაც „კუჩხა“-ს უწოდებდნენ და ამ დღეს იყო ქათმების ფერხაობა.

მეგრული კალანდის ტაბლაზე საპატიო ადგილი ეჭირა ღორის თავს. ამ ცხოველის კულტიც დაკავშირებული იყო ახალი წლის ღვთაების თაყვანისცემასთან.

ბოსლობა სამეგრელოში ნაად-დგომევის პირველი კვირის ხუთშაბათს



იცოდნენ. ამ დღეს შინაურ საქონელზე ორ-ორ კვერს აცხობდნენ.

„ჯგერაგუნა“ ფუტკრის სალოცავია და მას ასრულებენ ამალლებას. ამ დღეს დიასახლისი აცხობდა „ვარაბინა“ კვერებს, რომლებსაც ამზადებდნენ წმინად პურისაგან.

„ჟინიში ხვამა“. ჟინიშის ლოცულობდნენ ივლისში კვირა დღეს. დაკლავდნენ ციკანს სადმე





ტრადიციები



სახლიდან მოშორებით და იქვე მოხარშავდნენ. აცხოვდნენ კვერებსაც და ჟინიშის შევედრებოდნენ საქონლისა თუ ადამიანის მფარველობასა და გამრავლებას.

„ჯაშქერე“ ამ რიტუალს ასრულებდნენ სამურზაყანოში მარიამობის თვეს, 15 აგვისტოს, როდესაც ყურძენი და ხილი მწიფდება.

„შქვითული“ იცოდნენ ჭირნახულის ალებისა და დაბინავების შემდეგ, ოქტომბრის ბოლო რიცხვებში, ორშაბათ დღეს. ამ დღეს დაკლავდნენ შვიდ სულ სხვადასხვა ცხოველს და აქედან არის წარმომდგარი მისი სახელწოდებაც — შქვითულიც, რაც ნიშნავს შვიდეულს.

ხუხუჯობას განსაკუთრებით ასრულებდნენ მჭედლები და იმ ღამეს მჭედლები იხდიდნენ „ოჭკადირეშიმ ოხვამერს“ (სამჭედლოს ლოცვას). ხუხუჯობას მჭედლის ოჯახში დაკლავდნენ გოჭს და გამოაცხოვდნენ კვერებს. საღამოს ამას ხონჩაზე დაალავებდნენ, იქვე დადებდნენ სამჭედლოს იარაღებს: ქურას, კვერს, გაზს და სხვა ხელსაწყო-იარაღებს. ამ ხონჩას მჭედელი შეიტანდა მარანში, სადაც სამჭედლო ქვევრი იყო ჩაფლული, თუ არადა, სამჭედლოში წაიღებდა. ქვევრთან მას ნაჰყვებოდნენ მხოლოდ მამაკაცები.

„სადაბადო“ ქალის სალოცავი ქვევრი იყო, რომელიც ცალკე ემარხა მინაში ოჯახის „ოხვამერი“-ს ცოტათი მოშორებით. სადაბადოს იხდიდა ოჯახის დიასახლისი და ამისათვის ის დააყენებდა ძროხას და როცა სახარე ხბოს მოიგებდა, დაკლავდა მას და სადაბადოს ილოცებოდა, შესთხოვდა ღმერთს ჯანმრთელობას და ქმარ-შვილის ბედნიერ ცხოვრებას.

„ბატონები“. მეგრულად მას „პატონეფი“ ეწოდება. ქუთრუშას, წითელას, ყელჭივრებას, ყბაყურას — „ვა ვირე“ და ყვავილს, საერთოდ, დიდ ბატონებს ეძახიან.

წყევლა. „ხაჯარულს გიგობუნუანდანი, თეში გაალებური“, ისე გაგიჟდი, რომ ხაჯალურით იყო დასაბმელიო.

„ჩქმი მარძვან კილეშე ძვალ ვეშელანი, თინა სოიშა ვეგნოილუან, თეიაშა სკანი საშუელი ვემეჩამირი“ (სანამ ჩემ მარჯვენა მკლავიდან ძვალი არ ამოიღო და იგი არ გადაგავლონ, მანამდის შენი ხსნა ნუ იქნება.

„ჭინკა“ — ხალხის წარმოდგენაში ბავშვის ტანი-საა, ის ტიტველია. ჭინკები ტყეში ცხოვრობენო, ადამიანს გზის პირას დახვდებიან და სახელს დაუძახებენ.

შაკიკი შემომეყარა საღამოს * და დილასაო, ისე სჭამდა სილასაო, როგორც ხარი თივასაო. გაუნყრეს წმ. გიორგი, გამეპარა დილასაო.

„გველის ნაკბენის შელოცვა“

„მამისა, ძისა, სული წმიდისა, ამთე კამთე, შფოთე შთო ფარფარა, ლექთასუნი, აზმათა, კბენელი მოკვდეს, ნაკბენი მორჩეს. მიქელ გაბრიელ შენ უშველე“.

ღამე კარში დარჩენილი საქონლის შელოცვა.

„ეკენია, ბეკენია,
ბეკეს ხატი წსომებია,
მეფეო შემოკარი
ნადირს კბილი შაუკარი.
ქრისტე ღმერთმა ჩამოუშვა
ხეს ბორკილი რკინისაო,
უწვაგ-უხარშავის მჭამელი
შენ ჩაუშვი წამში,
ნუ გაუშვებ გზაში-ო.

ალერტობა იცოდნენ სოფ. ალერტში, რომელიც მდებარეობს მარტვილის რაიონში. ალერტის წმ. გიორგი ითვლებოდა ძლიერ ხატად სამეგრელოში. ნოემბრის პირველ ხუთშაბათს ოჯახები იხდიდნენ „საალერტო“-ს, რომელიც დაწესებული იყო სურდო-ხველისა და სხვა მორაგების წინააღმდეგ.

„სუჯუნის წმ. გიორგი“ ძველ სამეგრელოში ძლიერ ხატად ითვლებოდა. სუჯუნა ოთხი კილომეტრით არის დაშორებული სადგურ აბაშიდან. სუჯუნა ჭყონდიდელების საზამთრო სადგური იყო და მას მარტვილის შემდეგ პირველი ადგილი ეჭირა. სუჯუნის ეკლესია მდიდარი იყო, ჰყავდა მრავალი ყმა და შემოსავალიც დიდი ჰქონდა. სუჯუნის ეკლესიაში დაცული ყოფილა ძვირფასი ხატ-ჯვრები. აქ ესვენა „სასწაულმოქმედი“ სუჯუნის წმ. გიორგის ხატი, რომლის ხატობა იმართებოდა 23 აპრილს. ამ დღეს იქ დიდძალი მლოცველი მოდიოდა. ვისაც შეპირებული ჰქონდა, ისინი ღამეს ათევდნენ, საკლავს ხოცავდნენ, მუხლის მოყრით ეკლესიას გარშემო უვლიდნენ და სხვა. სუჯუნის წმ. გიორგი ითვლებოდა სულით ავადმყოფების მკურნალად. ისინი ხატობა დღეს იქ მიჰყავდათ და ალოცებდნენ. სუჯუნაში იცოდნენ ხატზე გადაცემაც. მანყევარი დადგებოდა სუჯუნის წმ. გიორგის ხატის წინ, სანთლებს აანთებდა და შესთხოვდა მას გამოეჩინა ძალა და გაენადგურებინა მტერი და მავნებელი.

არქანჯელო ლამპარტი



„ხალხის სიყვარულს კენანადი ტიტულს კენ ვადანოს“



ნონა გაფრინდაშვილი დაიბადა 1941 წლის 3 მაისს, ქალაქ ზუბდიდში.

ქართველი მოჭადრაკე, დიდოსტატი (1978). მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1962-1978). 11 გუნდური და 9 პირადი ოლიმპიური ოქროს მფლობელი. ფიდას ქალთა კომისიის თავმჯდომარე (1980-1986). საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტი 1989-1996 წლებში, 1996 წლიდან მისი საპატიო პრეზიდენტი. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი (2000-02). თავისი თაობის მსოფლიოს უპლიერანი მოჭადრაკე ქალი.

1978 წელს ნონა გაფრინდაშვილი გახდა პირველი ქალი მოჭადრაკე, ვისაც დიდოსტატის წოდება მიენიჭა. 1997 წელს ფიდას 68-ე კონგრესის გადაწყვეტილებით დანესდა ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასი, საჭადრაკო ოლიმპიადაზე, რომელიც გადაეცემა ქვეყნის ვაჟთა და ქალთა გუნდებს საუკეთესო ჯამური შედეგისათვის. 2001 წელს მისი სახელი მიენიჭა თბილისის ჭადრაკის სასახლას.

ქალბატონი ნონა მუდამ იდგა თავისი ხალხის გვერდით; იმ ხალხის, ვინც XX საუკუნის საუკეთესო ქალ სპორტსმენად აღიარა და მისთვის ზღვა სითბო და სიყვარული არ დაიშურა.

ტიტულებით დახუნძლული, ყველასგან პატივცემული, ერის სიამაყე, მას თამამად შეეძლო ყველანაირი პრივილეგიით ესარგებლა, თუმცა იგი

მაინც უპრეტენზიო, უბრალო ადამიანია. სამეფო გვირგვინმა ვერ შეცვალა მისი პატიოსანი და კეთილშობილი ხასიათი. თუმცა ერთი პრივილეგია სამუდამოდ შერჩა- ქალბატონი ნონა არის და მუდამ იქნება პირველი ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი.

21 ნოემბერს, იტალიის ქალაქ აკვი ტერმედან სასიხარულო ინფორმაცია მოვიდა, სენიორებს შორის გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ნონა გაფრინდაშვილმა (მერამდენედ!!!) მოიპოვა. ამ ამბავმა მოგონებები გამიღვიძა, რომელიც მინდა თქვენც გაგიზიაროთ.

საქართველოში საკმარისია სახელი ნონა წარმოსთქვათ და უკვე ყველამ იცის ვისაც გულისხმობთ. დამეთანხმებით, ასეთი პატივი ერთეულების ხვედრია. თუმცა მოდით, თავიდან დავიწყოთ.

1961 წელს, 19 წლის ასაკში ნონა





ქალი



გაფრინდაშვილმა, საკმაოდ წარმომადგენლობითი ტურნირი მოიგო. აქვე, საერთაშორისო ოსტატის ნოდება მიენიჭა და პრეტენდენტთა ტურნირში გამოსვლის უფლება მოიპოვა. იქ გამარჯვება კი იმას ნიშნავდა, რომ მას მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის დაუმარცხებელ ელისაბედ ბიკოვასთან შეხვედრის უფლება ეძლეოდა. ცნობილმა რუსმა დიდოსტატმა, მიხეილ ტალიმ იმ დროს თამამი პროგნოზი გააკეთა: ქალ მოჭადრაკეთა კაბადონზე ახალი ვარსკვლავი გამობრწყინდა და დიდ ცვლილებებს ელოდეთო. ნონას დიდ ნიჭს ბევრი აღნიშნავდა, მაგრამ ცოტა ვინმე თუ ელოდა, რომ მოვლენები ასე ელვისებური სისწრაფით განვითარდებოდა. ქართველმა მოჭადრაკემ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთან თამაშის უფლება იოლად მოიპოვა და კიდევ უფრო იოლად ჩამოაგდო ეს უკანასკნელი ტახტიდან. ანგარიში ასეთი იყო: 9:2. შვიდი მოგება და 4 ყაიმი. 21 წლის ნონა გაფრინდაშვილი 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა!

ამ მატჩის მსვლელობისას თბილისში სხვა სალაპარაკო თემა არ არსებობდა. ორი ნაცნობი ერთმანეთს რომ ხვდებოდა, პირველი კითხვა ასეთი იყო: ნონა რას შვება, ხომ არ იციო, თუ ამან არ იცოდა, საუბარში აუცილებლად რომელიმე გამვლელი ჩაერეოდა და თავის კომპეტენტურ აზრსაც იტყოდა, ამას სხვები მიემატებოდნენ და ისე როგორ იქნებოდა, ვინმეს ცნობილი მოჭადრაკე ნათესავი ან მეგობარი არ ჰყოლოდა. ასე ჯგუფ-ჯგუფად მთელი ქალაქი განიცდიდა, ღელავდა და მოუთმენლად ელოდა ტურნირის დასასრულს. თუმცა ასაღელვებელი არაფერი იყო, როგორც მოგახსენეთ, ნონა დიდი უპირატესობით იგებდა, მაგრამ რაღაც ქვეშეცნეული შიში მაინც არსებობდა. ცოტა ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს პატარა გოგო ასე თამაშ-თამაშ უსწორდებოდა გვირგვინოსან მეტოქეს.

თავად ქალბატონი ნონა იმ პერიოდს ასე იხსენებს: „ძნელია სიტყვებით გადმოვცე, რაც ჩემს გარშემო ხდებოდა. როცა მოსკოვიდან გამოვემგზავრე. მატარებლით წამოვედი და სოხუმს რომ გამოვცილდით, ლამის ყოველ სადგურზე ვჩერდებოდით, ხალხი ვაგონში გვივარდებოდა, მილოცავდნენ, ყვავილებით მავსებდნენ. თბილისში ხომ საერთოდ საოცრება მოხდა, წარმოუდგენელი სანახაობა იყო. მგონი, მაშინ უფრო ვნერვიულობდი, ვიდრე ბიკოვასთან მატჩში. ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას

დღემდე ვგრძნობ და ძალიან მადლობელი ვარ. უფრო მეტი სიმდიდრე არც მინდა“.

თამამად შემოძლია ვთქვა და ალბათ დამეთანხმებით, არ მეგულება საქართველოში მეორე სპორტსმენი, ვისაც ასე ხელის გულზე ატარებდეს ხალხი, ვინც ასეთი სიყვარულითა და ყურადღებით სარგებლობდეს და მის სიტყვასაც ისეთივე ნონა ჰქონდეს, როგორც ეს ქალბატონი ნონას შემთხვევაშია.

ერთი ცნობილი შემთხვევა მახსენდება, რომელიც თითქოს თბილისში გამართულ სუპერტურნირზე მოხდა. ამბობენ, როცა ნონა მორიგ სვლაზე ჩაფიქრდა, ამ დროს მის მაგიდას თურმე მიუახლოვდა ცნობილი მოჭადრაკე ტიგრან პეტროსიანი, რომელიც თბილისში გახლდათ დაბადებულ-გაზრდილი და ქართულიც მშვენივრად იცოდა. პეტროსიანმა შეამჩნია, რომ ნონას ძალიან ძლიერი სვლა ჰქონდა ცხენით და მოუნდა, რომ უკარნახოსო, მაგრამ მაშინ ორივე დაისჯებოდა. მაშინ ის ოდნავ გასცდა ნონას მაგიდას და ვითომ საკუთარ თავს აგულიანებდესო, ისე დაიძახა: აჩუ! აჩუ!

თავად ქალბატონი ნონა ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს, თბილისელი ტაქსისტების მონაჭორს უწოდებს და რა უფლება მაქვს, არ ვერწმუნო. როდესაც ერთხელ მას ჰკითხეს: რა არის თქვენთვის ჭადრაკიო, ასე უპასუხა: „ეს არ არის მხოლოდ თამაში – მე ვისვენებ, დიდ სიამოვნებას ვიღებ. საკმარისია, ჭადრაკის დაფასთან აღმოვჩნდე, ხელში ავიღო რომელიმე ფიგურა და ყველა უარყოფითი ემოცია, უსიამოვნო განცდა, შფოთიანი აზრები მაშინვე ქრება. მთლიანად ამ შავ-თეთრი ფიგურების სამყაროში გადავდივარ. იქნებ დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ჭადრაკის თეორიის შესწავლით თავს არ ვიკლავდი. არ ვიცი, როგორ აგისნათ-ყველა პარტია თამაშდებოდა რაღაც შინაგანი ინტუიციით, რაღაც გამიელვებდა ტვინში და თავისით მოდიოდა გადანყვეტილება როგორი კომბინაცია ამენყო, რა მოყვება ამ კონკრეტულ სვლას, ჩემთვის საჭადრაკო ცხოვრება არ დასრულებულა. სიამოვნებით ვიღებ მინვევებს სხვადასხვა ტურნირებზე და ადრინდელივით უდიდეს სიამოვნებას ვიღებ თამაშიდან, თუ ეს შეგრძნება გაქრება, – აღარ ვითამაშებ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დავკარგავ ყველაზე ძვირფასს – არსებობის აზრს“.

თამაზ ჩიქვანაია



ედუარდ გერსამიას ცხოვრების ეპოპეა

„გვარი გერსამია საქართველოს გარდა, მოხსენიებული არის რუსეთისა და ახლო საზღვარგარეთის ტერიტორიაზე. ძველ ტექსტებში საყურადღებოა ის, რომ ამ გვარის მქონე მოქალაქეები იყვნენ XVIII—XIX საუკუნეების ნოვგოროდის სლავური სამღვდლოების მნიშვნელოვანი პერსონები, რომლებსაც გააჩნდათ გარკვეული უფლება-ღირსებები. გვარი გერსამია მოიხსენიება ივანე მრისხანეს დროინდელი რუსეთის მოსახლეობის აღწერის უწყებებში. მეფეს გააჩნდა ცნობილი და საუკეთესო გვარების სია, რომლებიც გადაეცემოდა მეფესთან დაახლოებულ პირებს განსაკუთრებული დამსახურებისა და დაჯილდოების შემთხვევაში“.

ეს ცნობა გვარის წარმომავლობის შესახებ ისტორიულ წყაროებში მოიძია გერსამიების გვარის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ედუარდ გერსამიამ**, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა ნამდვილად საამაყო და მისაბაძია არა მხოლოდ ამ გვარისთვის, არამედ მთელი საქართველოს მოსახლეობისთვის.

იგი დაიბადა და აღიზარდა თბილისურ მრავალშვილიან, ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე დაფუძნებულ ოჯახში. სამი დის — კლარას, ვენერას და მაცყალას უმცროსი ძმა — ედუარდი განსაკუთრებული სითბოთი იყო გარემოსილი დებისგან და დედ-მამისაგან. ოჯახის თავკაცი ბატონი გალაქტიონ გერსამია პროფესიით ფიზიკოსი, მეტეოროლოგი, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ერთ-ერთი დამაარსებელი და მრავალი წლის მანძილზე ამ სამსახურის უფროსი იყო, დედა — ქალბატონი ანა ქვარცხავა—გერსამია რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი გახლდათ. მშობლები თავიანთი პროფესიისადმი ერთგულებით, ხალხისა და ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობით მსახურობდნენ და შვილებსაც ასეთი დამოკიდებულება ჩაუნერგეს.

ასეთ გარემოცვაში იზრდებოდა პატარა ედუარდი, რომელიც ჯერ თბილისის მე-8 ვაჟთა საშუალო სკოლაში სწავლობდა, შემდეგ კი პირველ საშუალო სკოლაში გადავიდა. პედაგოგებს შორის, რომლებმაც მის ცხოვრებაში გარკვეული კვალი დატოვეს, იგი პირველ რიგში სკოლის დირექტორს, ცნობილ პიროვნებას ჯაჯუ ჯორჯიკიას, უაღრესად განათლებულ, დიდ პატრიოტს და საზოგადო

მოღვაწეს, ასევე ცნობილ ქიმიის პედაგოგს ნინო ვარდიამვილსა და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს მარიამ ჟორჯოლიანს ასახელებს, რომლებიც სწავლასთან ერთად ურთიერთმიტევებას, ქვეყნისა და ერის სიყვარულს უნერგავდნენ თავიანთ მოსწავლეებს. ბევრმა მისმა თანაკლასელმა ცხოვრებაში გარკვეულ წარმატებას მიაღწია, განსაკუთრებულად მათ შორის ვახუშტი კოტეტიშვილი ეამაყება.

საშუალო სკოლაში წარჩინებულ სწავლასთან ერთად ჭადრაკით იყო გატაცებული, საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდის წევრი მრავალ საჭადრაკო ღონისძიებას და მოსწავლეთა შორის საკავშირო პირველობებში იღებდა მონაწილეობას.

საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, თავისუფლად შეეძლო ნებისმიერ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში გაეგრძელებინა სწავლა, მაგრამ მომავალი პროფესიის არჩევისას, როგორც თავად ბატონი ედუარდი იხსენებს.

მისაღები გამოცდების პროგრამაში სიტყვა „კონსტრუქტორმა“ მიიქცია მისი ყურადღება და გადაწყვიტა მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე გაეგრძელებინა სწავლა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, არასოდეს უნანია ეს პროფესია რომ აირჩია, აქაც ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი იყო, სწავლითაც წარჩინებით სწავლობდა და სტუდენტთა სამეცნიერო წრეებსა და კონფერენციების მუშაობაშიც აქტიურად იყო ჩართული. სტუდენტობის დროსაც დიდ დროს უთმობდა ჭადრაკს. სპორტის ამ მისთვის საყვარელ სახეობას, როგორც პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა საჭადრაკო გუნდის კაპიტანი გუნდთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს საკავშირო ტურნირებსა და ოლიმპიადებში. საკავშირო პირველობაში მოპოვებული გამარჯვებისთვის ედუარდ გერსამიას ჭადრაკში ეროვნული ოსტატის საპატიო ნიშანი მიენიჭა.

1959 წელს ე. გერსამიამ დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო თბილისის ჰიდრომეტხელსაწყოთა ქარხანაში. 1962 წლიდან 2009 წლამდე მუშაობდა მცირე სიმძლავრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში — საქართველოს ელექტროტექნიკური მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში (მეტსი). ეს იყო უნიკალური სამეცნიერო



ცხოვრება



ტექნიკური ბრწყინვალე სპეციალისტებით, შესანიშნავი ადამიანებით, სადაც საოცრად მეგობრული და საქმიანი ატმოსფერო სუფევდა. უთუოდ საამაყოა, ისიც, რომ დღესაც ინსტიტუტის მეცნიერთა კვლევის შედეგად შექმნილ სპეციალურ დანადგარებს აწარმოებს ქალაქ ნოვოვალისკში უკრაინის ქარხანა „მსანკა-აპკემ“-I და ქართველი მეცნიერების კონტრუქციით შექმნილი უკრაინის მიერ გამოშვებული პროდუქცია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იწვევება.

1969 წლიდან, ედუარდ გერსამია ამ ინსტიტუტის გენერალური დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო ნაწილში, 1976 წლიდან გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე.

ე. გერსამია: „წილად მხვდა ბედნიერება, მრავალი ათეული წელი მემუშავა დიდ პიროვნებასთან, პროფესორ გივი მინდელთან, რომელიც 1970 წელს გადმოვიდა მოსკოვიდან და სათავეში ჩაუდგა ჩვენს ინსტიტუტს, რომლის ძალისხმევითა და კოლექტივის წევრთა მონდომებული მუშაობით ჩვენი დაწესებულება ერთ-ერთ პირველ მსხვილმასშტაბიან სრულიად საკავშირო ინსტიტუტად გადაიქცა. აშენდა და თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღიჭურვა მრავალკორპუსიანი სამეცნიერ-კვლევითი კომპლექსი და საცდელი ქარხანა. ინსტიტუტმა ყოფილ საბჭოთა კავშირსა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაამუშავა, დაამზადა და დანერგა 2000-მდე ახალი პროგრესული ტექნოლოგიური პროცესი და მაღალი წარმადობის სპეციალური ტექნოლოგიური დანადგარები, ავტომატები და ავტომატური ხაზები, რომელთა დანერგვის შედეგად მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა რამდენიმე ასეულ მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. მიიღეს 400-ზე მეტი საავტორო მონუმბა, ჩვენმა ინსტიტუტმა ფართო კავშირები დაამყარა და თანამშრომლობდა მსოფლიოს წამყვან ფირმებთან.

ყველა ამ ღონისძიების განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღვოდა მცირე სიმძლავრის ელექტრონული მანქანების ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო ნაწილში ბატონ ედუარდ გერსამიას, რომელმაც 1973 წელს დაიცვა ჯერ საკანდიდატო, 1989 წელს კი სადოქტორო დისერტაცია მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტში, სადაც მისი ხელმძღვანელი გახლდათ პროფესორი ფიოდორ უფეროვი, დიდი მეცნიერი და შესანიშნავი პიროვნება, რომელთან მეგობრულ ურთიერთობას ბატონი ედუარდი მის სიკვდილამდე აგრძელებდა.

ე. გერსამია: ჩვენ პირველად ერთმანეთს ტალინში ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე შევხვდით. როდესაც მან მოისმინა ჩემი მოხსენება ელექტრონული მანქანების განვითარების პრობლემებზე, სხდომის დამთავრების შემდეგ გამესაუბრა და მითხრა: ძალიან მომეწონა თქვენი მოხსენება, საკმაოდ სერიოზულ პრობლემებსა და სიახლეებზე გაამახვილეთ ყურადღება. კარგი იქნება თუ ამ დარგში დაიცავთ დისერტაციას.

მის რჩევას დავუჯერე და მართლაც ამ მიმართულებით გავაგრძელე მუშაობა: ჩემი სამეცნიერო საქმიანობა ძირითადად მოიცავს ელექტრონული მანქანებისა და აპარატების წარმოების სპეციფიკური ტექნოლოგიური პროცესების კვლევას და სპეციალური ტექნოლოგიური დანადგარების პროექტირებას, ელექტრული მანქანების და პროექტირების ტექნოლოგიურ საფუძვლებს...

ე. გერსამია ყოფილი საბჭოთა კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს მიერ სხვადასხვა დროს დანიშნული იყო საკავშირო მნიშვნელობის პრობლემების მთავარ კონსტრუქტორად და მთავარ ტექნოლოგად. იყო საერთაშორისო ორგანიზაცია „ინტერელექტროსთან“ არსებული მცირე სიმძლავრის ელექტრული მანქანების გაერთიანებული საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროს მთავარი კონსტრუქტორის მოადგილე.

1978 წლიდან იგი შეთავსებით ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. 1989 წ. მას პროფესორის წოდება მიენიჭა. 2002 წლიდან არის ამავე უნივერსიტეტის ელექტრომექანიკის კათედრის გამგე, მიმართულების (მოდულის) ხელმძღვანელი, სრული პროფესორი. მისი ხელმძღვანელობით დატულია 6 სამაგისტრო და 4 სადოქტორო დისერტაცია.

1991 წელს დაამთავრა ბერლინის მენეჯმენტისა და მარკეტინგის სკოლა.

არის 150-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 50-მდე გამოგონების ავტორი, რომელთა დიდი ნაწილი დანერგილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ელექტრომანქანათმშენებელ ქარხნებში, ფირმებსა და კომპანიებში.

ედუარდ გერსამიას საქართველოში პირველს მიენიჭა „საქართველოს დამსახურებული ტექნოლოგის“ წოდება. ის არჩეულია საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსად და ეროვნული ენერგეტიკული აკადემიის ნამდვილ წევრად. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.



ცხოვრება



ფაქტებისა და თარიღების ამ საინფორმაციო ხასიათის მშრალი ჩამონათვალის უკან იმალება დაულალავი შრომა, უამრავი ექსპერიმენტი, ახალი იდეის განხორციელება, გამოცდა ხშირად წარმატებული, ზოგჯერ წარუმატებელი, უძილოდ გატარებული ღამეები და განუწყვეტელი ფიქრი სიახლის, უკეთესი, უფრო მაღალი წარმადობის ელექტრული მანქანების წარმოების ტექნოლოგიის შექმნაზე.

ეს ძიებითა და კვლევით მუშაობით აღსავსე მისი ცხოვრებაა, მისი თითოეული დღეა. თუმცა ეს ბატონი ედუარდის ცხოვრების ერთი ნაწილია, მეორე კი ოჯახს ეკუთვნის, მეუღლესა და ორ შვილს, რომელთა გარეშე სიცოცხლეს არა აქვს აზრი, მით უმეტეს მაშინ, როდესაც სამივე საკუთარ საქმიანობაში წარმატებულია. დავიწყოთ მეუღლით: 2006 წლის 12 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონის წინ, უამრავი ადამიანი დაესწრო ყველასთვის საყვარელი კომპოზიტორის, ქალბატონ რუსუდან (მაცაცო) სებისკვერადის ვარსკვლავის გახსნას. თვალგაბრწყინებული, ჩვეული მაღლიანი ღიმილით იდგა ჩვენი დროის ერთ-ერთი შესანიშნავი ხელოვანი თაყვანისმცემელთა წინაშე. იყო ბევრი ყვავილი და გულწრფელი ოვაციები. ქალბატონი მაცაცო 350-ზე მეტი სიმღერის ავტორია. გამოცემული აქვს სიმღერების 6 კრებული. გამართული აქვს 50-ზე მეტი საავტორო კონცერტი, არის ი. გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, კომპოზიტორთა კავშირის წევრი, თბილისის საპატიო მოქალაქე, 2006 წელს გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი. შემოქმედისათვის ვარსკვლავის გახსნა ხომ დაფასებისა და აღიარების თვალსაჩინო გამოხატულებაა, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო ქალბატონ რუსუდანს კარგა ხანია მოპოვებული აქვს — ქართველი ერის, მისი ნიჭის პატივისმცემელთა გულგებობა. მისი ელვარე ნიჭი, ბუნებრივად იკაფავდა გზას და ასე ლაღად, თამამად ქარგავდა ხელოვანი შესანიშნავ მელოდიებს და ამშვენებდა ქართულ სულიერებას არა მარტო სიმღერებით, არამედ გვაჯილდოებდა საოცარი ქალური მომხიბვლელობითაც. ალბათ ამიტომაც იყო რომ შეკითხვაზე — რა მიგაჩნიათ ყველაზე დიდ მიღწევად თქვენს ცხოვრებაში?

— როცა მაცაცო დავითანხმე ჩემი მეუღლე გამხდარიყო, — ღიმილით მიპასუხა ბატონმა ედუარდმა.

ამ სიტყვებს კომენტარი აღარ სჭირდება. თუმცა, თავად ქალბატონი მაცაცო აღნიშნავს, ხომ ძალიან მიყვარს სიმღერის წერა და მუსიკაში ვაქსოვ ჩემს უძვირფასეს განცდებს, მაგრამ თუ

არჩევანზე მიდგება საქმე, მაინც შვილებს და ოჯახს მივცემ უპირატესობას, რადგან ქალის უპირველეს მოვალეობად დედობა მიმაჩნიაო.

და სწორედ ასეთმა დედამ და მამამ აღზარდეს ორი შესანიშნავი შვილი. უფროსმა ვაჟმა, დავითმა დაამთავრა ჯერ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპული ენების ფაკულტეტი, სპეციალობით ინგლისური ენა, შემდეგ კი შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის თეატრისა და კინოს ინსტიტუტი, რეჟისორის სპეციალობით. წლების მანძილზე მოღვაწეობს როგორც ტელერეჟისორი და ოპერატორი. ამჟამად სწავლას განაგრძობს ლონდონში დიდი ბრიტანეთის ფილმისა და სატელევიზიო ეროვნულ სკოლაში.

ქალიშვილმა, მარიამმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა საერთაშორისო ჟურნალისტიკის სპეციალობით. შემდეგ სწავლა ასპირანტურაში გააგრძელა და 2004 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. არის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში. გამოცემული აქვს მონოგრაფია და სასწავლო სახელმძღვანელო, მონაწილეობა აქვს მიღებული არა ერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში.

კორესპოდენტი: ბატონო ედუარდ, რა მიგაჩნიათ პიროვნების ძირითად ფასეულობად?

ე. გერსამია: სიკეთის თესვა, კაცთმოყვარეობა, მომავალი თაობის აღზრდაზე ზრუნვა, ოჯახის სიყვარული.

კორესპოდენტი: ხელოვნების დარგებს შორის რომელს გამოარჩევთ ყველაზე მეტად?


ე. გერსამია: ძალიან მიყვარს ქართული სიმღერები (მათ შორის საესტრადო და ეს ალბათ, არც არის გასაკვირი (ღიმილით)). ჩემთვის საყვარელი კომპოზიტორია რევაზ ლალიძე, პოეტებიდან ვაჟა-ფშაველას ვირჩევდი, მომწონს ლევ ტოლსტოის შემოქმედება.

კორესპოდენტი: რაზე ოცნებობთ?

ე. გერსამია: ჩემი ოცნებაა — ვნახო საქართველო ერთიანი, განვითარებული და ბედნიერი.

ჩემი ნატვრაა — საქართველო გადაიქცეს უმაღლესი დონის სპეციალისტების მოზიდვის ცენტრად.

ჩემი ხატია — ჩემი სამშობლო.



დალოცვის მარტივი ხელოვნება

გალვიძებისას, დალოცვით დღე მთელი სიკეთითა და სიუხვით გექნებათ გაბრწყინებული. დალოცვა გიძღვნიტ უსაზღვრო ცხოვრების მადლს და სამყაროს განუყრელ ნაწილად გაქცევთ. დალოცვით ყველა, ვინც შეგვხვდებათ ქუჩაში, ავტობუსში თუ სამსახურში, რომ თქვენი დალოცვა თან ახლდეთ და მონივნებით გაუნათოთ გზა. უსურვეთ შემხვედრ ადამიანებს ჯანმრთელობა, წარმატება სამსახურში, სიხარული მათ ღმერთის მიმართ დამოკიდებულებაში, თავის მიმართ და გარშემომყოფთა მიმართ, უსურვეთ ფული და სიუხვე. დალოცვით ისინი ყველა გონებრივი გზებით და ეს დალოცვის თესლი ოდესღაც გაღვივდება სიხარულის მრავალფერი ყვავილებით, თქვენი ცხოვრების გვალვიან უდაბნოში.

სეირნობისას დალოცვით თქვენი ქალაქი თუ სოფელი, მათი მმართველები თუ მასწავლებლები, ექიმები თუ მეეზოვეები, მღვდლები თუ მეძავეები. როდესაც ბოროტად უპასუხებთ, გულში მაინც დალოცეთ. დალოცვით სიხარულით, ჭეშმარიტად,



მთელი გულით. ასეთი დალოცვები ფარია, რომელიც დაგიფარავთ უვიცობის და ავი ზრახვებისაგან, ამით ის ირეკლავს ისრებს, გამოშვებულს ჩვენსკენ.

დალოცვა უდიდესი სურვილია მთლიანად და უსიტყვოდ გასცე უსაზღვრო მადლი სხვისთვის და საკუთარი თავისთვის, საკუთარი შიდა ძალის დახმარებით. ეს ნიშნავს, პატივი სცე და შეაფასო ყველაფერი, რასაც გვიბოძებს შემქნელი, გარემოების მიუხედავად. ის, ვინც ატარებს თქვენ დალოცვას, შეუხებელია, კურთხეულია, სრულყოფილია. დალოცვა ნიშნავს იმას, რომ მოიხმოდვით დაცვა ვინმესთვის ან რამესთვის, იფიქრო მასზე ღრმა მადლიერებით, თუმცა ჩვენ არ ვიცით დალოცვის წყარო, ის უბრალოდ მხიარული მხილველია ცხოვრების სიუხვისა.

ყველასი და ყველაფრის დალოცვისას, განსხვავების გარეშე, მიეცით მას დამთავრებული ფორმა. ისინი, ვისი დალოცვაც თქვენ გსურთ, არასდროს გაიგებენ საიდან გაჩნდა ის მზის სხივი, რომელმაც უცბად დაფანტა ღრუბლები ცაში. თქვენ მათ ცხოვრებაში იშვიათი მონმეები გახდებით.

როდესაც დღის მანძილზე ხდება მოულოდნელობები, რომელიც არღვევენ თქვენს გეგმებს, დალოცვით ისინი. ეს ცხოვრების ნაბოძები გაკვეთილებია, გინდაც მოგეჩვენოთ ძალიან მწარე მოვლენა, რომელსაც თვლით არასასურველად, თქვენვე გამოიძახეთ, რომ მიიღოთ გაკვეთილი, რომელსაც თქვენ ვერ გაივლით, თუ მას არ დალოცავთ. განსაცდელები—გაბუნდოვანებული დალოცვებია და ანგელოზები მიჰყვებიან მათ კვალდაკვალ.

დალოცვა — ნიშნავს დაინახო სილამაზე, შენიღბული, ჩვეულებრივი ხედვით. ეს ნიშნავს მოიყვანოთ მოქმედებაში მინის მიზიდულობის კანონი, რომელიც სამყაროს სიღრმიდან მოიტანს თქვენს ცხოვრებაში იმას, რაც თქვენ გჭირდებათ და აგავსებთ სიხარულით.

ციხესთან დალოცვით ტუსალები. ტუსალი — ეს, ის ადამიანია, რომელიც თავს თვლის ასეთად: უჯჯაჭოდ თავისუფალი ან მოხეტიალე ციხის ეზოში. ზუსტად არ შეუძლიათ თავისუფალი ქვეყნის მცხოვრებს იყვნენ შიშის ტუსალები, რადგან თავიანთ აზრებში არიან დატყვევებულნი.

საავადმყოფოსთან გავლისას, დალოცვით ავადმყოფები, რადგან როგორც ტანჯვაში და ავადმყოფობაში მათ შეუძლიათ გახსნან თავის თავში დამატებითი ძალები და როდესაც ხვდებით გამვლელს, რომელსაც ცრემლიანი თვალები აქვს, ცხოვრებით გასრესილს, დალოცვით ეს ადამიანი, რადგან გრძნობებისთვის მიუღებელია გაბრწყინების სამყარო და აბსოლუტური სრულყოფა, რომელსაც შეუძლია დანახვა მხოლოდ შიდა ხედვით.

შეუძლებელია დალოცვა და განკითხვა ერთდროულად. შეინარჩუნეთ თქვენში დალოცვის სურვილი, როგორც დაუმთავრებელი შიდა ძახილი, როგორც მარადიული მუნჯი ლოცვა. მხოლოდ ასე გახდებით ერთ-ერთი მათგანი, ვინც მიაღწევს მშვიდობას და ერთხელაც თქვენც იხილავთ შემქმნელის სახეს.

ტექსტი რუსულიდან თარგმნა ნელი ჩხარტიშვილმა.



გივი სისარულიძე

ნოველები

სიხოსხლის მოწეოვა

შპს „ჰერმესი“. სევდანარევი ირონიით წავიკითხე და მანქანიდან გადმოვედი. დაახლოებით ცხრა წლის ბიჭუნა კარებთან შემეფეთა: — ვუყურებ რა მანქანას, ვუყურებ რაა...

— უყურე ბიძიკო, უყურე! — ვუთხარი მე და იმ „ბედნიერების“ სავანეში შევდგი ფეხი, საიდანაც თითქოს, ჰადესის ოხშივარი იფრქვეოდა.

ჩემი მეუღლის გარდაცვალების მონმობა მჭირდებოდა.

იქ გამეფებულმა რეალობამ შემძრა. სრულიად ჩაბნელებულ მოსაცდელში ამოვყავი თავი, სადაც ძლივს გავარჩიე ჩაშავებული ჭირისუფლები, რომლებიც ჩემსავით თავისიანის გარდაცვალების დამამტკიცებელი მონმობის მისაღებად მოსულიყვნენ.

მკვდრების მთავარი „ყარაულის“ კაბინეტი მოვიკითხე. მიმასწავლეს. კარები შევადე თუ არა, მდივანს შევეფეთე, რომელიც ისე ჩაშავებულიყო, რომ გულზე სევდა შემომანვა.

— გამარჯობათ, ქალბატონო! უფროსი აქ არის?

— არა ბატონო! დღეს არ იქნება, — თავაზიანად მიპასუხა ქალმა და დასძინა — იქნებ მე გამოგადგეთ რამეში?

როცა ავუხსენი, რაც მინდოდა, სწრაფად წამოდგა, წამობრძანდითო და სრულიად ჩაბნელებული დერეფნისაკენ გამიძღვა.

პატარა ოთახის კარი შეაღო, სადაც ორი ქალბატონი იჯდა.

— პატივცემულს მიმიხედეთო, — უთხრა და უხმოდ გარეთ გავიდა.

— სკამზე ჩამოვჯექი. ორივე ქალი ძაძებში იყო გამონყობილი. ცნობისმოყვარეობამ მძლია და

ვკითხე — შავები მოდისთვის გაცვიათ?

— ისე თქვენმა მტერმა და ავადმახსენებელმა ჩაიცვას შავები. ძმა და ქმარი ერთ დღეს დამელუპა, ავტოკატასტროფაში.

მეორე ქალმა, ეტყობა, ახლა მე არ დამისვას იგივე კითხვას, მწუხარებით წარმოთქვა — მე კი, ქმარიო.

ცუდად გავხდი. ჩემი თავი ყველაზე ტრაგიკული კაცი მეგონა. აქ კი, თურმე, როგორი უბედურება ტრიალებდა.

მთელი ცხოვრება მაღიზიანებდა სხვადასხვა დაწესებულებათა დირექტორების დამძიმებული, ათასგვარი მაკიაჟით გასხივოსნებული მეტიჩარა მდივნების შეხვედრა. ახლა კი ისე მომინდა მათი დანახვა, როგორც მწყურვალს წყალი. ვიგრძენი სიცოცხლისაკენ დაუოკებელი სწრაფვა. ერთი სული მქონდა, აქაურობა დამეტოვებინა.

საბუთი მომცეს. მადლობა გადავუხადე და სიკვდილის ამ ყუთიდან კი არ გამოვედი, გამოვფრინდი.

პატარა ბიჭი ისევ შემომეგება.

— ბიძია, ხომ ვუყურე მანქანას, ფული მომე, რა!..

ჯიბიდან ოცი თეთრი ამოვიღე და გავუწოდე.

— გამადლობთ ძია, გამადლობთ! — მითხრა თუ არა, მოწყდა ადგილს, გამიკვირდა, ვერ მივხვდი, სად გარბოდა. დაახლოებით ოც მეტრში ჯიხურთან გაჩერდა, ოცთეთრიანი მიანოდა და ორი ცალი საღებო რეზინი იყიდა. ერთი იქვე გახსნა. ისეთი სიამოვნებით დაიწყო ლეჭვა, ლამის ნერწყვი მომადგა.

— ბიჭი, ბიჭი, მოდი ჩემთან! — დავუძახე. ისიც სწრაფად მომიახლოვდა. ვგრძნობდი, „ჰერმესის“





პროზა



კედლებში გამეფებული სიკვდილის შემდეგ, ამ ბიჭის სახით როგორ შემოფრინდა ჩემს სულში სიცოცხლე. თავზე ხელი გადავუსვი და სიყვარულით ვკითხე.

- გიყვარს „უუვაჩკა“? აქ ცხოვრობ?
- ძალიან, ბიძია! აქ ვცხოვრობ.
- მამა ვინ არის?
- არა მყავს!
- დედა?
- შარშან მომიკვდა.
- როგორ, ვისთან იზრდები?
- უბანში.
- რას ჰქვია უბანში?
- ჰოო, ეგრე! ხან ვისთან და ხან ვისთან.
- სახლი ხომ გაქვს?

— არა. სწორედ მაგას გადაყვა დედაჩემი. მამას სახლი ბანკში ჰქონდა ჩადებული. მამის გარდაცვალებიდან ექვს თვეში, ვალის გადაუხდელობის გამო, სახლი ბანკმა წაიღო. იმის შემდეგ დედამ ორი დღე იცოცხლა! დაასრულა ბიჭმა ამბავი.

— ვაჰ, ღმერთო! ეს რა დღე გამოიწიე... ამოვიგმინე...

მერე პატარას შევხედე და ინსტინქტურად ვუთხარი: — წამოხვალ ჩემთან, საცხოვრებლად?

— წამიყვან რო... — მითხრა და თავისი სიცოცხლით სავსე თვალებით, თვალებში ჩამხედდა.

— წაგიყვან! — ვუპასუხე მე და ვანიშნე მანქანაში ჩამჯდარიყო. როცა გვერდზე გავიხედე, შევნიშნე, რომ, თურმე, მთელი უბანი ისმენდა ჩვენს დიალოგს. ერთი ხანში შესული ქალი, მომიახლოვდა, გამომცდელად შემომხედა და მითხრა: — თუ მართლა წაიყვან, ღმერთი დაგლოცავს...

— უკვე წაიყვანე! — ვუპასუხე და საჭეს მივუჯექი. ბიჭი, ცოტა დაბნეული, მაგრამ აშკარად ბედნიერად გრძნობდა თავს. ჩემს გვერდით წამოსკუბდა. როცა მანქანა დავძარი, მესმოდა როგორი სიყვარულითა და თბილი შეძახილებით აცილებდა მას მთელი უბანი.

მე კი, სიკვდილის მოწმობის მაგივრად, სიცოცხლის მოწმობით ვბრუნდები შინ.

მეყვანილ ავთო

ჩემს ახალგაზრდობაში ყვავილების ყიდვა თუ გინდოდა, კაცი ორთაჭალის სათბურებს უნდა სწვეოდი. მთელი კრწანისი ნაირნაირი სურნელის ყვავილებით იყო მოფენილი. რამდენჯერაც უცხოელი სტუმარი მიმიყვანია, იმდენჯერ განცვიფრებითა და აღფრთოვანებით უთქვამთ: — სამოთხის ბაღია, სამოთხის ბაღიო...

ჰოდა, ამ სამოთხის ბაღს ერთი სამოთხის ჩიტით კაცი უვლიდა, სახელად ავთო. მის სიფრიფანა, ფერმკრთალ ტუჩებს ყოველთვის სიკეთის ღიმილი დასთამაშებდა, ხოლო ტუბერკულოზისგან მიმქრალ სხეულს აშკარად ეტყობოდა სტუმრის მოზრძანებით გამონვეული აჩქარებული გულის ფეთქვა, რომელიც ორღანზე აჟღერებულ ფუგასავით ნელ-ნელა წყნარდებოდა.

არაერთ მებაღეს ვაკითხავდი ყვავილების შესაძნად, მაგრამ ავთოს სათუთმა მოქცევამ ჩემს სულთან და ყვავილებთან ისეთი უხილავი ძაფი გააბა, რომ სხვა მებაღისკენ გახედვა უკვე მკრეხელობად მიმაჩნდა.

ერთხელ ღამის 11 სთ-ზე მივაკითხე. მანქანაში ერთი მეტიჩარა, უნიჭო მსახიობი მეჯდა. ავთო შინ არ დამხვდა. მისმა მეუღლემ მორიდებით შეგვიპატიჟა და დასძინა:

— თუ დაუცდით ოც წუთში ამოვა, თუ არა და სათბურში ჩააკითხეთ, იქ საქმიანობსო.

მე მიპატიჟებაზე მადლობა მოვახსენე და ავთოს სათბურში ჩავაკითხე. ბაღში ვარდებს სილამაზეში პაექრობა გაუმართავთ. აი, გამოჩნდა ავთოს ნახევრად მელოტი თავი, რომელიც ხან ჩაიკარგებოდა ყვავილებში, ხანაც ისევ ამოყვინთავდა.

მიუხედავად იმ აშკარა დისონანსისა, რომელიც მომვლელსა და ყვავილებს შორის სუფევდა,





პროზა



ნათლად სჩანდა კაცი უფალს ყვავილების მომვლელად და სათაყვანოდ გაეჩინა.

რატომღაც გადავწყვიტე, არ დამეძახა.

გარინდული ვიდექი და მის ყოველ მოძრაობას თვალს ვადევნებდი; შიგადაშიგ ყვავილებსაც ვუყურებდი. ავთომონინებით დაიხარა, მიწა მოუჩიჩქნა, მერე ფურცლებს ერთი შავი ვარდის წინ ფაქიზად შეეხო და ბაგე მიადო. მივხვდი, რომ კოცნიდა. ჩემდაუნებურად ვარდს დავაკვირდი.

მომეჩვენა, — ყვავილმაც კოცნით უპასუხა, კოკორი გადაიშალა და ისევ შეიკუმშა. აქამდე არასოდეს მენახა ავთოს ვინმე გადაეკოცნოს. შვილებსაც კი რუდუნებით გადაუსვამდა ხოლმე თავზე ხელს და ისე სცილდებოდა. არ უნდოდა თავისი ავადმყოფობის მოზიარედ გაეხადა ვინმე. აქ კი სხვა რამ ხდებოდა.

კარგად იცოდა, თავისი სნეულება ამაყად ყელმოღერებულ თავმომწონე ვარდს არ გადაედებოდა.

აი, თურმე ვინ ყოფილა მისი ალერსის თანამოზიარე. კიდევ უფრო გავირინდე. არ მინდოდა გაეგო, რომ შემთხვევით მისი სულის საიდუმლო კარიბჭეში შევიხედე. უცებ თითქოს კეფამ იგრძნო უცხო თვალი, შემცბარმა მოიხედა და შესასვლელთან მე შემამჩნია.

— გამარჯობა, ჩემო ავთო! — შევძახე რიხიანად, თითქოს და იმ წამს შევდგი ფეხი მის საუფლოში.

— გამარჯობა, ჩემო ბატონო! — მიპასუხა მორცხვად და თავჩალუნულმა ჩემსკენ გამოსწია.

როცა ხელი ჩამოვართვი და მისვლის მიზეზი ავუხსენი, დაფაცურდა, ყვავილების საჭრელით რამდენიმე მშვენიერი ვარდი მოჭრა და ბოლოს სათბურის შუაგულში გადაინაცვლა. მომეჩვენა თითქოსდა ვარდები სიკვდილის პანიკას მოეცვა, რადგან არცერთმა იცოდა ვინ გახდებოდა მისი მაკრატლის მსხვერპლი. კაცმა თავის რჩეულს რამდენჯერმე აუარა გვერდი.

ვარდები, რომლებიც მოსაჭრელად არ აირჩია მებაღემ, კეკლუცი ქალების მსგავსად შეურაცხოფილები ჩანდნენ, ვითომ რა, მოჭრილები ჩვენზე ლამაზები არიანო?! გაორება იგრძნობოდა ყვავილებში. არც დაღუპვა უნდოდათ და არც შეუმჩნევლად დარჩენა.

— აღარ მოჭრა არც ერთი! — შევყვირე გიჟივით. — რა მოხდა ჩემო კარგო. — მზრუნველად იკითხა ავთომ.

— არ მოჭრა, თუ ძმა ხარ! — ვუპასუხე მე.

სამად სამი მოჭრილი ვარდი გამოვართვი... შესასვლელში, ას ყვავილს რომ ეყოფოდა, იმდენი ფული დავტოვე. ავთო, იცოდე ფული აქ დევს, — შევყვირე გასვლისას.

— მაგას ნუ მაკადრებ, — მომძახა.

ყური არ ვათხოვე, მანქანაში ჩავჯექი. ვისთვისაც ყვავილები ავიღე, იმას არ მივეცი. კოლმეურნეობის მოედანზე ყვავილების ბაზარზე ნაყიდი ვარდების თაიგული მივუგდე და სახლში მივიყვანე. ავთოს მიერ დაკრეფილი ყვავილები ლარნაკში ფრთხილად მოვათავსე და ყველანაირად ვეცადე, რაც შეიძლებოდა დიდხანს შემენარჩუნებინა მათთვის სიცოცხლე.

ორთაჭალაში, ყვავილების სათბურში მისვლაზე სამუდამოდ ავიღე ხელი. არ მინდოდა მათი სიკვდილის უნებური მომსწრე ვყოფილიყავი.

თუ ყვავილები მჭირდებოდა, მაღაზიაში, ან კოლმეურნეობის მოედანზე ვყიდულობდი.

ოთხი თვეც არ იყო გასული იმ დღიდან, რაც ავთოს ბაღში ვარდების აღსარების უნებური მოწმე გავხდი, რომ მისმა მეუღლემ დამირეკა, ავთო გარდაიცვალაო.

ცხადია, მეყვავილეზე ათასჯერ მეტად ახლობელი ადამიანებიც მყავდა მიზარებული მინას, მაგრამ მე მგონი ასე ცუდად არასოდეს გავმხდარვარ. ყველა პანაშვიდს შეძლებისდაგვარად ვესწრებოდი.

როცა ავთო სამარეს მიაბარეს, მის მეუღლეს ვთხოვე, ჩემთვის კარგად ნაცნობი შავი ვარდი, მის საფლავზე გადაერგათ.

— ვერ იხარებს, თორემ ერთი წუთითაც არ დავფიქრდებოდი...

გამიკვირდა, ყოველგვარი კითხვების გარეშე რომ დამთანხმდა. მიმიხვდა ჩანაფიქრს, ხელი ხელზე ნაზად შემახო და სევდიანად ჩაილაპარაკა:

— მე მეგონა, მარტო მე ვიცოდი, ჩემი ქმრის ტრფიალი ამ ვარდის მიმართ...



ჩემი სულის მზაფხული



ხანგრძლივი ძილის შემდეგ, ახლადგამოღვიძებულმა, გიჟმა მარტმა ნაირფერი ფარჩა გაშალა და ჩვენც სიცოცხლის წყურვილით ალგვავსო. მზემაც როგორც იქნა მარწუხები შემოიხსნა და თავის კაშკაშა სხივებით უკვე საკინძეშეხსნილ დედამინას გულ-მკერდი გაუთბო. ფრინველთა ამუსიკებულმა ჟღერადობამ არემარე გააყრუა. სიცოცხლის ჰარმონიას აჰყოლია ახლადაქორილი ველ-მინდვრები, ტყეები, მინდვრის ყვავილები, რომელთა მოქარგული ხალიჩა ფერთა გამისა და ჯადოსნური ფუნჯის შედევრს წააგავს.

იებს არ იკითხავთ? — სითბოსაგან დამზრალი მინის ნაპრალებიდან ამოხეთქილი სიცოცხლის შადრევანს ქმნიან...

და აი, დადგა 15 მარტი. გაზაფხულმა ჯერ კიდევ ფეხი კარგად ვერ მოიკიდა და სასომიხდილი თებერვალი თავისებურად წასვლას აჭიანურებს. ცივა, მაგრამ ისე არა, როგორც 15 დღის წინ,

ცოტა წვიმს კიდევ. ყოჩივარდებს ახლადგახელილ თვალზე ცრემლი უციმციმებთ, მწვანე ფოთლებით კი ერთმანეთს, მხრებს უსწორებენ, თითქოს ახლადშობილ პირმშოს თავიანთი ხელით ნაქსოვ ფარდას უმზადებენო. აი, ამ დროს დავბადებულვარ, გარიჟრაჟისას. ჩემ მშობლებს მშობლად ნათლობისა და პირველი შვილის შეძენას ერთად ულოცავდნენ. ნინო ბებიას სახელია, ჩემთვის წინასწარ შერჩეული. მადლობელი ვარ უფლის სიცოცხლისა და შემდეგ კი ლამაზი ცხოვრების ჩუქებისათვის. მაქვს ბედნიერი ოჯახი, მშობლები, სიძეები, რძალი, მეუღლე, ორი შვილი, უამრავი მეგობარი და კეთილისმსურველი. მაქვს ჩემი საქმე, რაც ძალიან მიყვარს, კალამთან ერთად თავს ბედნიერად ვგრძნობ, ვფიქრობ ჩემი „გულის, გრძნობის და გონების“ მონაწერი სიტყვათა მწკრივი მკითხველთათვის სიამოვნების მიმნიჭებელია. ბედნიერი ვარ, რომ 45 წელი ჩემი ბედის სკივრის საკუთრება გახდა, დაწერილი სცენარი მეორდება, რომლის მთავარი გმირი თქვენთან ერთად კვლავ ბევრ კეთილ საქმესა და ბედნიერ წუთებს გაჩუქებთ.

მარტი ჩემი ოჯახისთვის საზეიმო თვეა. მეუღლე მსოფლიო ქალთა დღესასწაულზე 8 მარტს დაიბადა, ხუმრობს კიდევ, ჩემს დაბადებას მსოფლიო ქალთა დასი აღნიშნავსო. გაზაფხული ჩემი სულის დღესასწაულია. ჩემი ორი ნანატრი შვილი კი ივნისის თვისგან ჩემდამი მოძღვნილი აუნონელი საჩუქარია.

გმადლობთ უფალო ყველაფრისთვის. ბედნიერი ვარ, რომ მყავს ოჯახი, მეგობრები და ბევრი ახლობელი.

თქვენ კი, ჩემო მკითხველო, მშვიდობიან და ბედნიერ გაზაფხულს გისურვებთ.

ნონო რახვიაშვილი



ქალი შენ ლამაზი ხარ, როგორც მიმოზა,

მიმოზა ცანავას

შენ ლამაზი ხარ, ლამაზი ხარ როგორც მიმოზა,
მე რომ მანვალეებს, რომ მანვამებს შენი თმებია,
ჩუმიად გადმოდის თებერვლის თვე ოქროს ტილოზე
და გატაცება აღტაცებას შერთმებია.

შენ ლამაზი ხარ, ლამაზი ხარ, როგორც მიმოზა,
მე რომ მანვალეებს, საუვარელო, შენი თმებია,
მიმოზასავით მეც ფიქრები ამძვინებია,
ძმაკაცებივით მესხვევიან ოლქანდრები,
უსიუვარულოდ ზოეზია არ მწამებია
და სიუვარულის ქარ-ბუქებში ვბროლიანდები.

ჩუმიად გადმოდის თებერვლის თვე ოქროს ტილოზე,
და გატაცება აღტაცებას შერთმებია,
შენ ლამაზი ხარ, ლამაზი ხარ, როგორც მიმოზა,
ლექსის ძარღვები, საუვარელო, შენი თმებია.



არჩილ ფირცხალავა



მიმოზა ცანავა



შენ, შენ დაგანათლოს დედა!

უფალს ვევედრები ნათელს
კვლავაც გამიფანტოს სევდა,
ის, რაც მე წამართვა ბედმა,
შენ, შენ დაგანათლოს დედა!
ასე თვალეხველი ჩუმიად
დაღმართს ჩაუყვები კენტად,
მე სხვა საფიქრალი რა მაქვს,
მხოლოდ შენი ბედი, დედა!
სადღაც გლოვის წარებს რეკენ,
ტანჯვად გადამექცა დღე და
ასლა, ასლა მაინც მიხვდი?
რატომ მედარდები დედა!

უთქმელ ტკივილების გროვა,
ნეტავ რად მეწერა ბედად,
ლოცვას შეგაკებებს, შვილო,
შენი ქანცვაცლილი დედა!
ჩემი ნაქარალი სული
ვევლან და ეოველთვის გდეკდა,
უფრო ხომ აგტკივდი, შვილო,
როცა შენ დაგერქვა დედა?!
ასე ხელაზერობით უფალს
ვევედრებ გამიფანტოს სევდა,
ის, რაც მე დამაკლო ბედმა,
შენ, შენ დაგანათლოს დედა!



წიფლიჩიტავ ღამაზო!

ამ ცვალებად საწუთროს
 ნეტავ რამ შეგაგუა,
 წიფლიჩიტავ, ღამაზო,
 ეელწითელა ღაბუავ!
 ეგ ფაფუკი ბუმბული
 ეელზე მძივად გხვევია,
 ვხედავ თავი რით მოგწონს,
 სიუვარული გწვევია.
 ეელეელაობ, განარებს
 სიცოცხლე და ბუნება,
 იქნებ ამიყოლიო,
 შემიცვალო გუნება.
 იქნებ, მწვანე ქათიბი
 მომანურო დარდიანს,
 მო, იჩქარე ზაწიავ,
 წლები ჩქარა გარბიან.
 მომანატრე ნატოფი
 სიუვარულის ცნრაკარა,
 წმინდა წეარო მანკურე,
 ნეტავ კვლავ შემავარა!
 მომწეურე წარსულის
 ის გიჟური დინება,
 გულანდილი იეავი
 კვედრებ, არ მეწეინება.
 ჩემი სულის მინდორი
 მომიქარგონ ვარდებმა,
 სიუვარულის ქალი ვარ,
 ისევე შემეივარდება.
 სასუტელა დობილი
 ჩუმიდ მეჩურჩულება,
 გული არ გიბერდება,
 რჩები გაზაფხულეებად.
შევეგუე საწუთროს
 დროის ცვალებადობას,
 წარსული შემახსენე,
 დიდი, დიდი მადლობა!

ქალი



ტკივილის ტვირთი

ქარიშხალივით ამედევნები და
 სულის მოთქმას არ მაცლი ფიქრო.
 მე ერთგულებით გზიდე და გზიდე,
 შენ არ მომეშვი, ტკივილის ტვირთო,
 თავის დაღწევა ხომ ბევრჯერ ვცადე,
 მარცვალი ვთვალე სულ თითო-თითოდ,
 მაინც ვერა და ვერ დაგეძალე,
 ეველგან მიზოვე, ტკივილის ტვირთო.
 არ ვიცი მიხნად რა დაისახე,
 მიმაქანებდი უფსკრულში თითქოს,
 მაინც ვერა და ვერ დაგეძალე,
 ეველგან მიზოვე ტკივილის ტვირთო!
 რაც მეტი ლოდი გულზე დამადე.
 მით უფრო მეტად შემმატე ძალა,
 როგორც კონკიას ბედით დანაგრულს,
 ლოცვა მამაღლებს, უფალი მფარავს
 და სულ ამოდ ამომიხეძე,
 ეველგან აქვს სასრული ვით ომს,
 ეს შენ კი არა ,მე დაგამარცხე
 ვერ მომერიე, ტკივილის ტვირთო.
 ისევე მორჩილად თავს დაბლა დაგზირი,
 ისევე მოთმენით ბევრ რამეს გითმობ,
 ტკივილით შობილს და ასე ამტანს
 ვერას დამაკლებ ,ტკივილის ტვირთო.

ევევანი ღაღუ

ღურუქ შორს გეგნანაწეუ,
 თოლ მანკურე ეოროფაშე,
 სქან მუნანტე მურსუ მანჭუ,
 გური ოკო გეგნოიფანი,
 სქან ბარჩხალა ბჟა დო თუთა
 ასე ხოლო ელანთხოზუ,
 სქანი სიტევას ოშმა ურთა,
 უჩა ფირქი ბედზე მობძუ,
 მიეორქი დო მუ ფქიმინა,
 ტეურა დღასი ვამთქუალუ,
 ელანთხოზუქ სქვამი ცირა,
 მუჭოთ ევევანი ჭიჭე ღაღუ.



ფრიდონ თოდუა — ნოვასციების ავტორი მედიცინაში

საიბედო ექიმი და ჩვენებური ხასი

ფრიდონ თოდუა არის ადამიანი, რომელიც თავისი პროფესიონალიზმით აღიარებულია საპარტოვლოში, რუსეთში და ექიმთა საერთაშორისო საზოგადოებაში.

ბარდა მისი პროფესიონალიზმისა, გატონი ფრიდონი გამორჩეული ადამიანია. უყვარს თანადგომა, გულმოდგინება და სულგრძობა.

პირველი სტაციონარული ტომოგრაფი გატონ ფრიდონს 90-იანი წლების დასაწყისში ჩამოაქვს თბილისში, ისეთი, რომელიც მაშინ სამედიცინო ტექნიკის უმაღლეს მიღწევად ითვლებოდა. შარჟან კი 640-პრინაი ულტრაბუნამედიკოვი ტომოგრაფი შეიქმნა და დაამონტაჟა თავის ინსტიტუტში, რომელიც ბევრი ევროპული კლინიკისთვის მხოლოდ სვალინდელი დღეა.

არანაშული ამალიტუდაა, გნეპავთ, ნახტომი, წარსულის შედარებითი სიმარტივიდან დღევანდელ სუპერბუნამედიკოვიეობამდე.

მანამდეც არაერთი სიხლე დაინერგა თოდუას კლინიკაში და განსხვავებით საზოგადოებრივ-პოლიტიკური სფეროსგან, რომელშიც «საქონდ ჰენდის» პროვინციული მეორადობა მქლავრობს, პროგრესის ტონის მიმცემი, მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა არამარტო რეგიონის მასშტაბით, არამედ მსოფლიოს მედიკოსთა თანამეგობრობისთვისაც.

იშვიათი შემთხვევაა! საამაყო თავისი გამონაკლისებით და უმეტესად სასურველი.

უამრავ გაჭირვებულს ეხმარება გატონი ფრიდონი.

— ჩვენს ფულს როგორც გვინდა ისე დავხარჯავთ – ადამიანებს მოვასმარტ, უწინარეს ყოვლისა და არავითარ შემთხვევაში არ გავმდიდრდებით მოსახლეობის ხარჯზე.

ასეთი მორალის პატრონია. სოვდაგრის პრინციპები შორსაა ამ მაღალი ზნეობის კაცისგან.

— გატონი ფრიდონი წლების განმავლობაში აკადემიის პირველი ვიცეპრეზიდენტი იყო. ეს იყო ურთულესი წლები, როცა აკადემიას ყველა დახურვით ემუქრებოდა. იმ დროს გატონი ფრიდონის თავდაუზოგავმა და პრინციპულობა პოზიციამ (მაშინ გატონი ფრიდონი პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ იყო), მისმა ჭეშმარიტმა თანადგომამ აკადემიას უდიდესი საქმე გაუკეთა. აკადემია დღეს რომ არსებობს, ამაში მისი დიდი წვლილი არის.

იგი ჭეშმარიტი აკადემიკოსია; არის ყველა ჩვენგანის მკურნალი. ჩვენ, ყველანი მისი პაციენტები ვართ.





მეცნიერი



დიდი ხნის წინათ ერთ ჩემს მეგობარს სამედიცინო დახმარება დასჭირდა და მოსკოვში გაემგზავრა. იმ დროს მეც იქ აღმოვჩნდი და მისი თხოვნით კონსულტაცია გავიარე კომპეტენტურ ადამიანებთან და რჩევა ვკითხე საუკეთესო მკურნალის შერჩევის თაობაზე. ლეგენდარულმა ქირურგმა-აკადემიკოსმა, თბილისში დაბადებულ-გაზრდილმა ვლადიმერ ბურაკოვსკიმ რომ მოისმინა უარყოფითი პასუხი მის მიერ დასმულ შეკითხვაზე, ვიცნობდი თუ არა ფრიდონ თოდუას, მირჩია: გაიცანი და ანდე შენი მეგობრის ჯანმრთელობა, ჩინებული ექიმი, ერთობ საიმედო კაციაო!

ახლაც მახსოვს, რა ინტონაციით მითხრა: ჩინებული ექიმი!.. საიმედო კაცი!

მას შემდეგ გავიდა ნაცნობობის, თანამშრომლობისა და მეგობრობის 35 წელიწადი.

ამ ხნის მანძილზე არ მახსოვს, ყოფილიყო ისეთი შემთხვევა, რომელიც სულ მცირე, ეჭვსაც კი შეიტანდა დიდი ვლადიმერ ბურაკოვსკის რეკომენდაციამ.

ფრიდონ თოდუა დიდი დასტაქარია!

და ეს იცის არამარტო სამედიცინო საზოგადოებაში და მთელმა საქართველომ, არამედ უამრავმა კოლეგამ, მეცნიერმა-მედიკოსმა ძალიან ბევრ ქვეყანაში!

ფრიდონ თოდუა ნაღდი კაცი და უღალატო მეგობარია!

ბევრ ადამიანს რეალურად გამოუცდია მისი ექიმობის შედეგი, რაც პირდაპირ კავშირშია მის ვაჟკაცურ ბუნებასთან, რისკთან, გაბედულებასთან, უანგარობასთან. ყველაფერი ეს იმაზე ღალადებს, რომ იგი მართლაც დასაყრდენია, გაჭირვებულის დამხმარე, უშურველი! ასევე უღალატოა მეგობრების მიმართ და მის ამ თვისებაზე არა და არ მოქმედებს არც პოლიტიკური კონიუნქტურა და არც ბიოგრაფიულ-კარიერული გარდატეხები.

ამ ხნის მანძილზე მასთან დაკავშირებით, ზემოჩამოთვლილის გარდა, კიდევ ბევრი სასიამოვნო და დასაფასებელი «აღმოჩენა» გაკეთდა. მათგან უმთავრესად დასაფასებელია ის, რომ ფრიდონ თოდუა საქმის კაცია — სხვისი მხარდამჭერი, ნამხალისებელი, ხელისშემწყობი.

მის მიერ შექმნილი უნიკალური, თანამედროვე სამედიცინო ცენტრი და მისი კოლექტივის საქმიანობა იმაზე მეტყველებს, რომ აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა გახლავთ ბრწყინვალე ორგანიზატორი, სტრატეგი, ტაქტიკოსი, შედეგზე ორიენტირებული და, რაც მთავარია, პროგრესული აზროვნების, სიახლეების მოტრფიალე და პრაქტიკაში მისი დამწერგავი, ახალგაზრდა სპეციალისტების უანგარო გამზრდელ-დამაოსტატებელი, ნამდვილი პედაგოგი!

და კიდევ ერთი, რაც, ჩემი აზრით, ღირს, რომ ახლა, სწორედ დღეს ითქვას, თანაც იმათ გასაგონად,

ვისაც საქმისა და სიკეთის კეთების მაგივრად შური და ქილიკი ხელენიფებათ (და ვინაიდან ბატონი ფრიდონი ანგელოზი არ არის, არც მოშურნე და მოქილიკე აკლია მას): ასეთი რანგის, ავტორიტეტული სპეციალისტებისადმი, მეცნიერებისადმი, კულტურის მოღვაწეებისადმი, მით უმეტეს, გამოჩენილი ექიმებისადმი «ლტოლვა» ყველა დროის ხელისუფალს ახასიათებს. გამონაკლისი არც გასული ათწლეული იყო.

ობიექტურობა მოითხოვს იმის ხაზგასმით აღნიშვნას, რომ იმდროინდელი ხელისუფლების ინიციატივით არჩეულ მეცნიერებათა აკადემიის პირველ ვიცეპრეზიდენტ ფრიდონ თოდუას მოუხდა დიდი სიბრძნის, მოქნილობის, თმენის, ზოგჯერ კი თავგანწირვამდე მისული პრინციპულობის გამოჩენაც, რათა ეროვნული მეცნიერებათა აკადემიისთვის აერიდებია, რბილად რომ ვთქვათ, არაკომპეტენტური ჩარევა, მავანის და მავანის უგუნურება, რომლის საბოლოო მიზანი რეფორმა კი არა, ამ დიდი აკადემიის საბოლოო განადგურება იყო.

ასევე, თავად ვარ მონმე იმისა, რომ აკადემიის ვიცეპრეზიდენტს ძალისხმევა არ დაუკლია, რათა აკადემიის სისტემის ცალკეული სტრუქტურების, ცალკეული მეცნიერებისთვის არ გამოეტანათ დედაუნივერსიტეტის პროფესორისადმი გამოჩენილი სამარცხვინო დამოკიდებულების მსგავსი სავარაუდო «გამანადგურებელი განაჩენი», რომელიც დღევანდელი გადასახედიდან არამცთუ სუბიექტური და უსამართლო იყო, არამედ პრიმიტიული ანგარიშსწორების გამოვლინებაც იყო მაშინდელი ხელისუფლების ზოგიერთი გათავებებული მაღალჩინოსნის მხრიდან!

და ყოველივე ამას ფრიდონ თოდუა აკეთებდა უხმაუროდ, უანგაროდ! მეცნიერული სინდისის და პატრიოტული სულისკვეთების, თავმდაბლობის, ზნეობრივი პრინციპების მაქსიმალური დაცვით.

ასე კაცები იქცევიან!

ასე ცხოვრობენ საიმედო ადამიანები!

ამის დაუნახაობა და დაუფასებლობა უმადურობა იქნებოდა.

კეისარს კეისრისა!

გაიხარეთ, ბატონო ფრიდონ!

ნუზარ ფოფხაძე

უკვე წლებია, ვსარგებლობთ თქვენი ექიმების მომსახურებით. ჩვენ უკვე ასაკში ვართ და სწორედ ამის გამო ჩვენთვის ორმაგად სასიამოვნოა «თოდუას კლინიკის» ექიმების ის თბილი და ყურადღებანი დამოკიდებულება, რომელიც ყოველთვის იგრძნობა



მეცნიერი



კლინიკაში ვიზიტის დროს.

ძალიან გვიხარია თქვენი კლინიკის წარმატებები. გულწრფელად ვფიქრობთ, რომ ეს სწორედ თქვენი დამსახურებაა. თავის დროზე ჩვენმა ბებიამ, სოფია არღუთინსკაია-მხარგრძელმა, ქალაქს საჩუქრად გადასცა გიმნაზია.

პატივისცემით,
თქვენი კეთილისმსურველი პაციენტები

ს. ღა ე. არღუთინსკაია-მხარგრძელი

ჩემი მოლოცვა მხოლოდ თქვენს დაბადების დღეს არ ეხება, არამედ თქვენს მისწრაფებასა და მიღწევებს საქართველოში ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესების საქმეში. იმ პერიოდში საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, თქვენი თამამი და დაუღალავი მცდელობისა და დიდი ძალისხმევის შედეგად შექმენით სრულიად ახლებური და მაღალპროფესიული სამედიცინო დანესებულება არამხოლოდ საქართველოს, არამედ კავკასიის რეგიონის მასშტაბით. გვეამაყება, რომ უკვე 20 წელზე მეტია, რაც იყენებთ ჩვენი უახლესი თაობის აპარატურას რადიოლოგიურ დიაგნოსტიკაში.

დიდ მადლობას მოგახსენებთ, რომ ასე ენდობით «სიმენსს».

გულწრფელად თქვენი

ჰერმან რეპუარდი,

პროფესორი, «სიმენსის» ჯანდაცვის სექტორის
აღმასრულებელი საბჭოს წევრი

თქვენმა ღრმა ცოდნამ მედიცინასა და დიაგნოსტიკაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ჯანდაცვის სისტემის განვითარების საქმეში საქართველოს საზოგადოების საკეთილდღეოდ.

თქვენ ხართ უაღრესად აღიარებული პიროვნება და ექსპერტი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რუსეთსა და უცხოეთის ქვეყნებშიც.

ძალიან მადლიერი და ამაყი ვარ, რომ «სიმენსმა» ჩვენი აპარატურის წყალობით შეძლო თქვენთან ერთად ამ წარმატებული გზის გავლა.

საუკეთესო სურვილებით,

ვოლფგანგ კიოპალი,

«სიმენსის» ჯანდაცვის სექტორის
აღმასრულებელი საბჭოს წევრი
აღიარებული მეცნიერი და მოღვაწე

დიაგნოსტიკურ რადიოლოგიაში არსებობს ასეთი გამოთქმა «მხოლოდ წარმატებული თერაპია ამტკიცებს და ადგენს სწორ დიაგნოზს». საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა თავისი 40-წლიანი მეცნიერული მოღვაწეობით ამ დებულებას ადასტურებს.

1982 წელს ფრიდონ თოდუამ ჩემი ყურადღება, თავისი ინტელექტის წყალობით, ჩვენი ნაცნობობის



პირველი დღიდანვე მიიპყრო. იგი გახლდათ ერთ-ერთი პირველი, ვინც დანერგა ენდოვასკულარული ქირურგია ყოფილ სსრკ-ში, რომელიც დასავლეთში ინტერვენციული რადიოლოგიის სახელით არის ცნობილი. მაშინ იგი ბევრი ინოვაციური იდეით იყო განთქმული რუსეთსა თუ ევროპაში. ამ მოწინავე იდეებით დაბრუნდა თბილისში 1990 წელს. იგი იყო ერთ-ერთი პირველი იმ ქართველთა შორის, რომლებიც ასე მოიქცნენ — მიატოვეს ხანგრძლივი წარმატებული კარიერა მოსკოვის აკად. ა. ვ. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში. ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გაუმჯობესებისა და თავისი ხალხის დახმარების მიზნით მან დააფუძნა ახალი ტიპის სამედიცინო დანესებულება — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კლინიკური მედიცინის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტი.

მისი პიროვნული თვისებები—კომუნიკაბელურობა და გულისხმიერება კარგად აისახა სამედიცინო საერთაშორისო საზოგადოებებში, როგორცაა, ევროპის რადიოლოგთა ასოციაცია, მიუნხენისა და გრაცის სამედიცინო უნივერსიტეტები და სხვ.



მეცნიერი



1997 წელს ფრიდონ თოდუას ინიციატივით საქართველოში დაარსდა საქართველოს რადიოლოგთა ასოციაცია, რომელიც პირველი იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში და რომლის უცვლელი პრეზიდენტიც თავადაა დღემდე.

ბატონი ფრიდონის მოწინავე ხედვის შედეგად მისი ინსტიტუტის თანამშრომლები მუდმივად მონაწილეობენ მსოფლიოს უმთავრეს კონგრესებსა თუ კონფერენციებში, რომლებზეც წარმოადგენენ თავიანთი უახლესი სამედიცინო მიღწევების შედეგებს. პირადად მას ახლო მეგობრობა აკავშირებს მედიცინის სხვადასხვა დარგის მსოფლიოში აღიარებულ ბევრ თვალსაჩინო მეცნიერთან.

სულ მალე ინსტიტუტში ამუშავდება სხივური თერაპიის განყოფილება, რომელშიც დამონტაჟდება უახლესი თაობის ხაზოვანი ამაჩქარებლები, რაც დიდ დახმარებას გაუწევს ონკოლოგიურ ავადმყოფებს როგორც საქართველოში, ასევე რეგიონში.

თქვენი მეგობრები და საერთაშორისო სამედიცინო საზოგადოება გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს თქვენს შემდგომ საქმიანობაში, მომავალი გეგმების განხორციელებაში.


თქვენი

რანა რინგიულიარი
პროფესორი (ავსტრია)

კიბოს სამკურნალო მცენარე, რომელიც ფარმაცევტების მიერ იბლოკება

ხილი, რომელიც კურნავს კიბოს და მისი ზემოქმედება 10 ათასჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე ქიმიოთერაპიის.

„მათ არ უნდა, რომ ჩვენ ამის შესახებ ვიცოდეთ, რადგან სამედიცინო პრეპარატების მსხვილი მწარმოებლები ვერ გაყიდვიან თავიანთ პროდუქციას“, - სტატიაში ამ თემაზე აქვეყნებს ინტერნეტ ჟურნალი „MEMO“.



გუანაბანა ითვლება ყველაზე ძლიერ ანტიკანცეროგენად პლანეტაზე, რომელიც შექმნა ღმერთმა. გრავიოლას ხის ნაყოფი ეს არის სასწაული, რომელიც ანადგურებს კიბოს უჯრედებს.

თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ ახლობელ ადამიანებს და მოუყვებთ, რომ აუცილებელია გუანაბანას წვენის დალევა, რათა თავი ავარიდოთ დაავადებას. ის სასიამოვნო დასალევია და არ აქვს გვერდითი მოვლენები, ისეთი, როგორც აქვს ქიმიოთერაპიას.

გუანაბანა არის დაბალი სიმალის ხე და იკავებს ნაკლებ ადგილს. ის ცნობილია ბრაზილიაში გრავიოლას სახელით, ლათინურ ამერიკაში გუანაბანა და სოურსოპ ინგლისურ ენაზე. მას აქვს მსხვილი და ტკბილი ნაყოფი, საკვებად

მიიღება ნედლი სახით და გამოიყენება წვენების დასამზადებლად. ამ მცენარის მიმართ ინტერესი გამომწვეულია მისი კიბოს საწინააღმდეგო თვისებებით. გარდა ამისა, მას აქვს უამრავი სხვა თვისებაც, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია მისი სიმსივნეზე ზემოქმედება.

ეს მცენარე შემონახულია და ამტკიცებენ, რომ სასარგებლოა ყველა ტიპისა და ფორმის კიბოს წინააღმდეგ გამოსაყენებლად.

აგრეთვე ითვლება, რომ მცენარე არის ფართო სპექტრის ანტიბიოტიკი. ფლობს სოკოს საწინააღმდეგო და ანტიპარაზიტულ თვისებებს, არეგულირებს არტერიულ წნევას და არის ანტიდეპრესანტი.

ამ ინფორმაციის წყარო არის წამლების ყველაზე მსხვილი მწარმოებელი. 1970 წელს იყო ჩატარებული 20-ზე მეტი ლაბორატორიული ტესტი, რომლის დროსაც დადგინდა, რომ ექსტრაქტი ანადგურებს ავთვისებებიანი სიმსივნის 12 ტიპს - მსხვილი ნაწლავის, ძუძუს ჯირკვლების, პროსტატის, ფილტვის და პანკრეასის.

მცენარე კიბოს უჯრედების ზრდას 10 ათასჯერ უფრო მეტად ამცირებს, ვიდრე ადრიამიცინი (ცნობილი ქიმიოთერაპიული პრეპარატი). რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გრავიორას ექსტრაქტით თერაპიის შემთხვევაში ნადგურდება მხოლოდ კიბოს უჯრედები და ის არ აყენებს ზიანს ჯანმრთელ უჯრედებს.



რეგიონის ხმა



საქართველოს მთავრობის დადგენილებით



საქართველოს მთავრობის დადგენილებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტს 2016 წელს სოფლის მხარდაჭერის პროექტების განხორციელებისთვის 1649317 (მილიონ ექვსას ორმოცდაცხრა ათას სამას ცვიდმეტი) ლარი გამოეყო.

თანხის გაანგარიშება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებისთვის მოსახლეობის რაოდენობისა და სულადობის მიხედვით დაანგარიშდა. საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ იხელმძღვანელა საქართველოს საქსტატის ეროვნული სამსახურიდან მიღებული ინფორმაციით და გაანგარიშება მოხდა შემდეგი პრინციპით:

- 1. ერთიდან 200 სულის ჩათვლით დასახლებისთვის – 4000ლარი.
- 2. 201–დან 400 სულის ჩათვლით დასახლებისთვის – 5000ლარი.
- 3. 401–დან 1000 სულის ჩათვლით დასახლებისთვის – 8000ლარი.
- 4. 1000–ზე მეტსულიანი დასახლებისთვის – 12 000 ლარი.

თანხების გამოყენების მიზნობრიობა დგინდება მოსახლეობასთან წინასწარი კონსულტაციის, მოსახლეობასთან შეხვედრებზე, კრებებზე მიღებული ინფორმაციის შემდეგ.

პროგრამით გამოყოფილი თანხა უნდა მოხმარდეს ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობას, რეაბილიტაციას, კეთილმოწყობას, საერთო სარგებლობის შენობის აღჭურვას, გრძელვადიანი ტექნიკის შესყიდვას.

განხორციელებული პროგრამით დასახლების მოსახლეობას უნდა გაუუმჯობესდეს მატერიალური,

ყოფითი და სოციალურ-ეკონომიური პირობები. პროექტების განხორციელების პერიოდში დასაქმებული უნდა იყოს ადგილობრივი მოქალაქე.

გასულ წელს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მასშტაბით 350 პროექტი განხორციელდა. საქართველოს მთავრობამ 2016 წელს ქვეყნის მასშტაბით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისთვის 50 000 000 (ორმოცდაათი მილიონი) ლარი გაითვალისწინა.



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე გიზო სართანია, ჩეხური არაკომერციული ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“-სა და რეაბილიტაციის და განვითარების საქველმოქმედო ცენტრ „თანაზიარის“ წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე ერთ-ერთ ჩეხურ პროექტზე ისაუბრეს, რომელიც ჩეხეთის სოციალური სისტემის მაგალითის მუნიციპალიტეტისთვის გაზიარებას გულისხმობს. პროექტის განხორციელების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის გამგეობაში უნდა შეიქმნას დამატებით მრჩეველთა საბჭო,

რომელიც მუშაობის სტრატეგიას შეიმუშავებს. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განხორციელებულ ინოვაციურ პროექტებზე, რომელმაც განაპირობა ორგანიზაციის თანამშრომლობის სურვილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან.



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ედიშერ თოლორაიამ, დღეს მიკრო და მცირე მენარმეებს სახელმწიფო პროექტი „ანარმოე საქართველოში“ პრეზენტაცია წარუდგინა. მუნიციპალიტეტის გამგებელმა მენარმეებს პროექტებში მაქსიმალური ჩართვა ურჩია.

გამგებლის განცხადებით, ხელისუფლება დაინტერესებულია ამ პროექტის ამოქმედებით ხელი შეუწყოს და განავითაროს მცირე მენარმეობა.

მოხდეს ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ახალი ინიციატივების განხორციელება, რაც ჩვენს მოსახლეობასა და ქვეყანას ეკონომიკურ კეთილდღეობას მოუტანს.

პროექტის მიზნობრიობაზე და აუცილებლობაზე მენარმეებს მენარმეობის განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი ოთარ ანთია ესაუბრა. მისივე განცხადებით 2016 წელს სახელმწიფომ მიკრო და მცირე მენარმეობის განვითარებისთვის ბიუჯეტში 20 მილიონი ლარი გაითვალისწინა. პროექტები მხოლოდ საქართველოს რეგიონებში ხორციელდება. პროგრამის მიზანი მსხვილ ქალაქებსა და რეგიონებს შორის ეკონომიკური უთანასწორობის შემცირება, ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდა და რეგიონალური პროდუქციის დივერსიფიკაციაა. გამარჯვებული კონკრეტული ბიზნეს იდეა ერთი ინდივიდისთვის 5000 ლარით ფინანსდება. თანამონაწილეობა კი მხოლოდ 20%-ია. ამხანაგობის შემთხვევაში თანხები იზრდება.

პროგრამის ფარგლებში დაინტერესებულ მენარმეს, სააგენტო ბიზნეს კონსულტაციას გაუწევს. პრეზენტაციას სამეგრელოს რეგიონში მოქმედი მცირე მენარმეები და სამეგრელო ზემო-სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



რეგიონის ხმა

მარტვილი



სრულიად საქართველოს მცნობს

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გიგლა აგულაშვილი, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე ლაშა მოისნრაფიშვილი, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული ლევან შონია, მარტვილის მაჟორიტარი დეპუტატი სოსო დანელია, მუნიციპალიტეტის გამგებელი ალესანდრე გრიგალავა და საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შეხვდნენ.



შეხვედრაზე ადგილობრივებს მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები გააცნეს. აღინიშნა, რომ ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას. რეგიონში მოთხოვნა გაიზრდება საოჯახო სასტუმროებზე, კვების ობიექტებზე და სანაოსნო ტრანსპორტის მომსახურებაზე.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაგეგმვისა

და განვითარების სამსახურის უფროსმა, თომა დეკანოიძემ პრეზენტაცია ჩაატარა და მოსახლეობას აუქციონში მონაწილეობის პირობები განუმარტა. დაცული ტერიტორიების სააგენტო 5 წლის ვადით, იჯარით გასაცემად მარტვილის კანიონის კეთილმოწყობილ და საექსპულატაციოდ გამზადებულ 280-მეტრიან სანაოსნო მონაკვეთს გაიტანს. აუქციონის საწყისი ფასი ყოველწლიური ბრუნვის 10% იქნება.

შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში, 2 საათის განმავლობაში გაგრძელდა.

24 თებერვალს მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში სახელმწიფო პროგრამის "ანარმოე საქართველოში" პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაცია მენარმეობის განვითარების სააგენტოს მენარმეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსმა ოთარ ანთიამ წარადგინა. შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმატით წარიმართა. მენარმეებმა უშუალოდ პროგრამის ინიციატორებისა და მასში მონაწილე პირებისგან დეტალური ინფორმაცია მიიღეს და გამოთქვეს სურვილი

ჩაერთონ სამთავრობო ინიციატივაში. პრეზენტაციას მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია, გამგებლის მოადგილე გიორგი გოროზია, გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის თანამშრომლები, ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლები და მენარმეები ესწრებოდნენ.

2015 წლის 15 მარტიდან მენარმეობის განვითარების სააგენტომ საქართველოს რეგიონებში

მიკრო და მცირე მენარმეობის ხელსაწყოების პროგრამის განხორციელება დაიწყო.

პროგრამის მიზანია ქვეყნის რეგიონებში მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარება, მენარმეობის მხარდაჭერა, რეგიონული ბაზრების განვითარება და მოსახლეობის შემოსავლების ზრდა. პროგრამის ფარგლებში სააგენტო უზრუნველყოფს მენარმეობის როგორც ფინანსურ, ისე საკონსულტაციო მხარდაჭერას. ბიზნეს გეგმის წარდგენისა და დამტკიცების შემთხვევაში მენარმეს ეძლევა შესაძლებლობა საკუთარი ბიზნესის საწარმოებლად სახელმწიფოსგან მიიღოს დაფინანსება.

დაფინანსება გაიცემა შემდეგი სქემით

- ✓ ერთი მენარმე /5000 ლარი/ თანამონაწილეობა 20 %;
- ✓ ორი მენარმის ამხანაგობა /10 000 ლარი/ თანამონაწილეობა 20 %;
- ✓ სამი მენარმის ამხანაგობა /15 000 ლარი/ თანამონაწილეობა 20 %;

ბიზნესის ეფექტიანობის მართვის მიზნით საკონსულტაციო მხარდაჭერა

- ✓ ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაცია;
- ✓ ბიზნეს გეგმის შედგენის ტრენინგი;
- ✓ ბიზნესის ადმინისტრირების ტრენინგი;



თითოეულ რეგიონში პროგრამის ადმინისტრირებას, კონკურსის შედეგად შერჩეული ორგანიზაცია უზრუნველყოფს, რომელიც რეგიონში ადგილობრივ დონეზე იქნება წარმოდგენილი და მოსახლეობას სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა/ დაფინანსების შესახებ საკონსულტაციო მომსახურებას გაუწევს.

ბენეფიციარის შერჩევის კრიტერიუმები

- ✓ ბიზნესის განვითარების ხედვა და გეგმა;
- ✓ კონკურენტუნარიანი ბიზნეს იდეა;
- ✓ ემოსავლის ზრდაზე ორიენტირებული ბიზნესი.

იდეების ონლაინ რეგისტრაცია უკვე დაწყებულია ვებ-გვერდზე www.qartuli.ge და დასრულდება 31 მარტს.

მარტვილის კანონის ბუნების ძეგლზე მიმდინარე ტურისტული ინფრასტრუქტურის სამუშაოები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა ლევან შონიამ, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ ლაშა მოისწრაფიშვილმა, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელთან ალექსანდრე გრიგალავასთან და მარტვილის მაჟორიტარ დეპუტატთან სოსო დანელია ერთად დაათვალიერა.



პროექტის ფარგლებში ბუნების ძეგლზე შენდება ვიზიტორთა ცენტრი, ასევე მიმდინარეობს ტურისტული ბილიკების მოწყობის, ხიდების, ნავმისადგომებისა და გადასახედის

სამშენებლო სამუშაოები, რესტავრაცია უტარდება ქვაში ნაკვეთ დადიანების ისტორიულ კიბესა და წყლის წისქვილს.

ტურისტული ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარე წლის მაისში დასრულდება.




მოქვის ყნი კარყი ოთხთავის გაცასაჩენაჲ

ქართული საგანმურწი

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ქართული ხელნაწერი წიგნების კოლექციაში დაცულია უნიკალური სახარება, რომელიც მოქვის ოთხთავის სახელწოდებითაა ცნობილი. კოდექსი გადწერილია 1300 წელს აფხაზეთში, კერძოდ, მოქვის მონასტერში, საგანგებოდ მოქვის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრისთვის შესანიშნავად. მხატვრულ-დეკორაციულ თავისებურებათა მიხედვით, სახარება გამორჩეულ ადგილს იკავებს XII-XIV საუკუნეების ბიზანტიური ხელნაწერი წიგნის გაფორმების ისტორიაში, ხოლო აქ წარმოდგენილი დახვეწილი სიუჟეტები კონსტანტინოპოლის სკოლის საუკეთესო ნიმუშებს უტოლდება. ოთხთავი იმ იშვიათ ხელნაწერებს მიეკუთვნება, რომლებიც გამოირჩევიან ილუსტრაციათა სიუხვით. მოქვის სახარების მინიატიურები შესრულებულია უნიკალური ტექნიკით - ოქროს ფონზე, სწორედ ამ ტექნიკური მახასიათებლებისა და მაღალმხატვრული დონის გათვალისწინებით, ხელნაწერი მსოფლიო კულტურის უბრწყინვალეს ნიმუშთა რიგში ღირსეულ ადგილს იკავებს.

მოქვის სახარება მოზრდილი ფორმატის წიგნია (30,0 X 23,5სმ) და შეიცავს 329 ფურცელს. საწერ მასალად კარგად დამუშავებული ეტრატია გამოყენებული. ტექსტი გადწერილია ორ სვეტად კლასიკური ნუსხურით. სახარების ტექსტი გიორგი მთაწმინდელის რედაქციისაა, რასაც მისივე ერთ-ერთი ანდერძი ადასტურებს. აღსანიშნავია, რომ ხსენებული რედაქციის ოთხთავი ფართოდ გავრცელდა როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ საგანგებოში. ასევე გიორგი მთაწმინდელის რედაქციისა გელათის, ლეჩხუმური, ბერთის (ტაო-კლარჯეთში), ახალციხის, ვანის, სვანური - ლაფსყალდის, ართვინის და უბისის ოთხთავები.

სახარებისთვის დართული ანდერძის ტექსტები საინტერესო ცნობებს გვანვდის გადწერის დროისა და ადგილის, მომგებელისა (დამკვეთი) და გადამწერის შესახებ. ანდერძებში დაცული უძვირფასესი საისტორიომასალის გათვალისწინებით დგინდება, რომ ხელნაწერი 1300 წელს მოქველ მთავარეპისკოპოს დანიელის დაკვეთით მხატვარ-კალიგრაფ ეფრემს, სავარაუდოდ, მოქვის მონასტრის სკრიპტორიუმში გადაუწერია. იგია ხელნაწერის დეკორაციული სისტემის ავტორიც. მიჩნეულია, რომ



მოქვის სახარების გადამწერის, ეფრემის კალიგრაფია და საზედაო ასო-ნიშნების სტილი

კალიგრაფ ეფრემს მინიატიურების მოხატვაში მისი რამდენიმე მონაწილე ეხმარებოდა. მის მიერ შექმნილი ხელნაწერის მინიატიურებში გამოსახულებანი ძალიან ემოციური, ხოლო მოძრაობები ბუნებრივია. გამოცდილი მწიგნობრის, ეფრემის სახელი მათეს სახარების ბოლოს დართულ ანდერძშიც გვხვდება.

ხელნაწერის ბოლო ფურცელზე გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით. მის წინაშე მუხლმოყრილია მვედრებელი მოქველი მთავარეპისკოპოსი დანიელი, რომლის თავთან ასომთავრული ტექსტია, რომელიც მის ვინაობას იუწყება.

მთავარეპისკოპოსი დანიელი სახარებას სწირავს ღვთისმშობლის მიძინების სახელზე აგებულ მოქვის ტაძარს. ამიტომაც მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით მხატვარ-კალიგრაფს ეს სცენა საგანგებოდ ხელნაწერის მთელ გვერდზე შეუსრულებია. რაც მთავარია, წარმოდგენილი იკონოგრაფიული სიუჟეტი უნიკალურია და ანალოგი არ მოგვეპოვება სხვა ძველ ხელნაწერებში.

თანადროული ანდერძების გარდა, ხელნაწერს გვიანდელი მინაწერებიც (კოლოფონები) ახლავს. ეს კოლოფონები კიდევ ორ მოქველ მღვდელმთავარზე



საგანმკური



გვანვდიან ცნობებს. ერთ-ერთი მამამთავარი აბრაჰამია, რომლის წინა მწყემსმთავარი, სავარაუდოდ, მოქვის სახარების დამკვეთი დანიელ მთავარეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო. “მოქვისა ღმრთისმშობელო შეინყაღესული თქუენ წინმდგვისაი მოქველ მთავარეპისკოპოზისაი აბრაჰამისაი, ამენ”, - ნათქვამია ერთ-ერთ მინაწერში. ლუკა მახარებლის სურათის პირველ გვერდზე იმავე ხელით წერია: “მთავარეპისკოპოზსა მოქველსა აბრაჰამს შეუნდოს ღმერთმა, ამენ და ამენ”. მოქვის სახარების კოლოფონი გვანვდის ინფორმაციას კიდევ ერთი მოქველი მთავარეპისკოპოსის, ფილიპე ჩხეტიძის შესახებ. “სულსა მოქველ მთავარეპისკოპოზსა ჩხეტიძესა ფილიპესა შეუნდოს ღმერთმა, ამენ”. მთავარეპისკოპოს ფილიპეს მოღვაწეობა პირობითად XV-XVI საუკუნეებით თარიღდება. ამდენად, მოქვის ოთხთავი შეიცავს ძალიან საინტერესო საისტორიო ცნობებს ისტორიის შემსწავლელთათვის.

მოქვის ოთხთავი უჩვეულო მინიატიურების სიუხვით გამოირჩევა. სახარებაში დღეისთვის შემორჩენილია 155 მინიატიურა. ხელნაწერის მხატვრულ თავისებურებას ფურცლოვან ოქროზე შესრულებული, პალეოლოგოსური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებად მიჩნეული, სიუჟეტური მინიატიურები წარმოადგენს. პალეოლოგოსთა სტილი XIII საუკუნის ქრისტიანულ ხელოვნებაში გავრცელებული ახალი მიმდინარეობაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ინტერესი ანტიკურობისადმი, მეტი თავისუფლება და დინამიკურობა, ფერწერულობა და ემოციურობა. ყველა ეს ტენდენცია შესანიშნავად იგრძნობა მოქვის ოთხთავის მინიატიურებში, რომლებშიც შერწყმულია მრავალი სტილისტური და იკონოგრაფიული სიახლე.

მოქვის სახარების გაფორმებაში ჩნდება როგორც მთლიან გვერდზე წარმოდგენილი მინიატიურები, ასევე ტექსტში ჩართული კომპოზიციები. მთლიან გვერდზეა შესრულებული რამდენიმე მინიატიურა, რითაც მხატვარი მათ მნიშვნელობას უსვამს ხაზს და იდეურ დატვირთვას ანიჭებს.

მოქვის ოთხთავი უნიკალურია იმ კუთხითაც, რომ ხელნაწერში ღვთისმშობლის რამდენიმე იშვიათი მინიატიურაა ჩართული, მათ შორის, ერთ-ერთი არის ღვთისმშობელი ყრმით, რომლის წინაშეც მუხლმოყრილია მოქველი მთავარეპისკოპოსი დანიელი; “ქრისტეს გენეალოგიის” მინიატიურა, რომელშიც 42 მამამთავარს შორის ერთადერთი ქალის - ღვთისმშობლის გამოსახულებაა; მომდევნო მინიატიურაზე ლუკა მახარებელი ღვთისმშობელთან ერთადაა გამოსახული. ეს კომპოზიცია ასახავს ძველ გადმოცემას, რომ ღვთისმშობელთან ყველაზე დაახლოებულმა მოციქულმა - ლუკამ მისი სახე

დახატა; ხელნაწერის ილუსტრაციებს ასრულებს ღვთისმშობლის მიძინების სცენა.

ოთხთავის მხატვრულ სახეს 10 კამარა, 530-ზე მეტი საზედაო ასო და ინიციალი განსაზღვრავს. ხელნაწერში საზედაო ასოების შესრულების ტექნიკა დახვეწილია, ხოლო გაფორმების თემატიკა - მრავალფეროვანი. ინიციალები უფრო ხშირად ფრინველების, ცხოველების ან თევზების გამოსახულებით არის წარმოდგენილი. კალიგრაფის გენიალურობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საზედაო ასოების სიუხვის მიუხედავად, არც ერთი მათგანის მხატვრული შესრულება არ მეორდება.

მოქვის სახარებით სამეცნიერო საზოგადოება XIX საუკუნის II ნახევარში დაინტერესდა. ხელნაწერს ნიკოდიმ კონდაკოვმა და დიმიტრი ბაქრაძემ მარტვილის მონასტერში მიაკვლიეს. აფხაზეთში გადაწერილი ოთხთავი როდის და რა ვითარებაში მოხვდა მარტვილში, სამწუხაროდ, უცნობია.

ხელნაწერი პირველად გადაიღო ფოტოგრაფმა თეოდორ კიუნემ 1913 წლის ზაფხულში. მარტვილში სამეცნიერო ექსპედიციის დროს. ის თან ახლდა საქართველოს საისტორიო და ეთნოგრაფიული საზოგადოების წევრებს.

1921 წელს მოქვის ხელნაწერი სხვა ქართულ საგანძურთან ერთად საქართველოს დევნილმა მთავრობამ საზღვარგარეთ გაიტანა და საფრანგეთში ინახებოდა. 1945 წელს საფრანგეთში გატანილი ეროვნული საგანძური ექვთიმე თაყაიშვილის ძალისხმევით უკლებლად დაუბრუნდა საქართველოს. ამ საგანძურში გელათის, ბერთის, ვარძიის ოთხთავებთან ერთად იყო მოქვის სახარებაც მოოქრული ვერცხლის ყდით, რომელიც დღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ცალკე ინახება.

ოთხთავის დაზიანება, სავარაუდოდ, არასწორი შენახვის პირობებში, საუკუნეთა განმავლობაში ღრმავდებოდა. მარტვილის მონასტერში მეცნიერთა ჯგუფს სახარება ძლიერ დაზიანებული უნახავთ.

ხელნაწერის გადაფურცვლისას მინიატიურებიდან საღებავი ცვიოდა. შემაკავშირებელი მასალა, რომლითაც ოქროს ფურცლები ფონზე იყო დანებებული, არამდგრადი გამოდგა. ამ ოქროს საფუძველთან ერთად ნადგურდებოდა მასზე შესრულებული ფერადოვანი ფენაც. ოქროს ფონის ჩამოცვენის გამო დაზიანდა ხელნაწერის უმნიშვნელოვანესი მინიატიურები.

ოთხთავი სასწრაფო დიაგნოსტიკასა და რესტავრაციას საჭიროებდა, რაც სოლიდურ თანხასთან იყო დაკავშირებული. ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა თანხის შესაგროვებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციის



მხარდაჭერით რამდენიმე წლის წინ ფართო და ხანგრძლივი საქველმოქმედო კამპანია წამოიწყო. თავდაპირველად სპეციალური საბანკო ანგარიშები გაიხსნა, რამდენჯერმე გაიმართა საქველმოქმედო ღონისძიება. 2011 წელს მოეწყო აუქციონი, სახელწოდებით “ერთად გადავარჩინოთ მოქვის სახარება”. საქველმოქმედო კამპანიის პარალელურად, ცენტრმა მოამზადა მოქვის ოთხთავის დიაგნოსტიკის პროექტი, რომელიც 2010 წელს იუნესკოს წარედგინა. იუნესკოს გრანტის შესაბამისად მოეწყო დიაგნოსტიკა, მოიწვიეს საერთაშორისო დონის რესტავრატორები. უცხოელ ექსპერტთა ჯგუფმა მთლიანად შეისწავლა ხელნაწერის მდგომარეობა. სწორი დიაგნოსტიკისა და აღდგენის შესაბამისი მეთოდის შერჩევის შემდეგ, დაზიანებული ოთხთავის აღდგენა დაიწყო. აღსანიშნავია, რომ კონსერვაციის პირველი ეტაპი საქველმოქმედო ღონისძიებებიდან შემოსული თანხებით განხორციელდა.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სპეციალურად მოწვეული ავსტრიელი მეცნიერი ანდრეა პატაკი წლეულს 18 თებერვლიდან 22 თებერვლის ჩათვლით ცენტრის რესტავრაცია-კონსერვაციის მეცნიერთანამშრომლებთან ერთად მოქვის სახარების მინიატიურების გამაგრებაზე მუშაობდა. ხელნაწერის მიძიმე მდგომარეობის გამო კონსერვაციის პროცესი ურთულესი და ძალიან შრომატევადი გამოდგა. დასრულებულია კოდექსის აღდგენის პირველი ეტაპი. ამ დროისთვის იგეგმებოდა ასამდე მინიატიურის

დამუშავება, მაგრამ ძლიერი დაზიანებების გამო მხოლოდ რამდენიმე ათეული მინიატიურის გამაგრება მოხერხდა. გამოცდილი ავსტრიელი მეცნიერი ანდრეა პატაკი სარესტავრაციო სამუშაოებს მსოფლიოში აპრობირებული მეთოდით, ეფექტური სარესტავრაციო მასალის, ე.წ. თევზის ნებოსა და სპირტის გამოყენებით წარმართავდა.

როგორც ვხედავთ, პროცესები დამაიმედებელია და მოქვის ოთხთავის გადარჩენა, ოქროს ფონზე შესრულებული მინიატიურების შენარჩუნება და უკვე საკმაოდ დაზიანებული კომპოზიციების აღდგენა სავსებით შესაძლებელია. ამით შენარჩუნდება უნიკალური მინიატიურები, სადაც გადმოცემულია ფორმათა ფერწერული დამუშავება, სიღრმის შექმნის ილუზია, სწრაფვა სახეთა ინდივიდუალური გადმოცემისკენ და ფიგურათა თავისუფალი მოძრაობები. მოქვის ოთხთავის გადასარჩენად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთო მხარდაჭერა, ამიტომ რამდენიმე წლის წინ დაწყებული საქველმოქმედო კამპანია კვლავაც გრძელდება.

— 180 —

<p><i>აჲრ აწყა აჲრ ჩაღარ იჲლა ურ ყაყაჯეჲ.</i></p>	<p>Если бы загорь- лась вода, то чьезь ее тушить?</p>	<p>წყალს რომ ცეც- სლო მოქვილის რომ უნდა ვაქობ?</p>
<p><i>აბჲაწყე მრეა- ჯარ აჲყი კირ იჲ თაყაბაჲ.</i></p>	<p>Если бы небыло лу- ны, то отъ кого бы поживился ушны?</p>	<p>ოუ რომ ბროვი არ იქონს, ჭკვიანი საღ- ცან იშავებდა რას- ქე?</p>
<p><i>აჩრიაჲ აჩრ.აჩრ. ჩა ჯაჲრ.აჲყაჲრ- ჲთ აჲყუბა აჲ</i></p>	<p>Мышь и сама не могла пролезть въ щель, а захотѣла про- тащить цѣлую тыквау.</p>	<p>თავი ნსვრეცში ვქრ ცალია, და ცოცხალს იბამა.</p>
<p><i>აბრ ვაჲარ ბრ. ჩა ხაჲყეჲთ.</i></p>	<p>Была бы голова жи- ва, а шапка будетъ.</p>	<p>თავი თუ ცოცხალი ქმნება, ქუალს სულ ეუფელავს ღისუ- რამს.</p>
<p><i>აჲყუ აჲყარაჲთ აჩრიაჲ ურყაჲთ.</i></p>	<p>Кошка забавлялась, а мышка умирала.</p>	<p>ცოცხალი იბოდა და თავი გვამა.</p>
<p><i>აჲყუა აბჲარ ჲრ- გაყაჲთ იჲრეჲ ა.ა.</i></p>	<p>Стаканъ не разо- бьется безъ звона.</p>	<p>სტკანი ისე არ ცეცდება, რომ წმა არ გამოიღოს.</p>
<p><i>აჩაბრჲაჲჩაჲრჲ აჲაჲრჲთ.</i></p>	<p>Для живнвой лоша- ди всегда нужны шпо- ры.</p>	<p>ზომის ცხენს სულ ყოველთვის უნდა ჯეზა.</p>

ფრაგმენტი მოსწავლეთა აფხაზურ-რუსულ-ქართული საკითხავი წიგნიდან

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი მოუწოდებს საზოგადოებას, აქტიურად ჩაერთოს საქველმოქმედო აქციაში.

კოლექტიური ზრუნვის საგანი, მოქვის უნიკალური სახარება ახალ სიცოცხლეს ელის...

ჟურნალი “ისტორიანი”,
ოქროპირ ჯიქური

ნინო ხეხვიამჭვირის გამომცემლობა



ნიგნების ბეჭდვა

მისამართი:
თბილისი,
ლესელიძის 27
პე-2 სართ.
599746810
790746810

**ქურნალ-
ბაზეთების
ბეჭდვა**

**ანყობა,
დიზაინი,
დაკაბადონება**



ზვიად გამსახურდია

„არ შეიძლება საქათანი თავისა და საქათანი ხალხის მოწყუება-აშაზა მანა სველი, აშაზა შეშანაში დანაშაული არ არსებოს“.

ზვიად გამსახურდია

